ანტიდასავლური პროპაგანდა

MDF
მედიის განვითარების ფონდი
unag
საქართველოს გაეროს ასოციაცია
USAID
ამერიკელი ხალხისგან

ანტიდასავლური პროპაგანდა

2018

ავტორი:
თამარ კინწურაშვილი

მკვლევარები:
თინა გოგოლაძე, სოფო გელავა

მონაცემთა დამუშავება:
მარიამ ცუცქირიძე

მედია მონიტორინგი:
თამარ გაგნიაშვილი, სოფო გოგაძე, ხატია ლომიძე,
სოფო ჩხაიძე, მარიამ ცხოვრებაშვილი

დიზაინი:
ბესიკ დანელია, IBDESIGN

ანგარიში მომზადდა მედიის განვითარების ფონდის (MDF) მიერ, „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის“ (PITA) ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის პუბლიკაციის ავტორ(ებ)ს და არ უნდა აღიქმებოდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს გაეროს ასოციაციის პოზიციად.

ISBN 978-9941-8-1460-0

© 2019, მედიის განვითარების ფონდი

WWW.MDFGEORGIA.GE
WWW.MYTHDETECTOR.GE
WWW. MILLAB.GE

შესავალი

მედიის განვითარების ფონდი 2014 წლიდან ქართულოენოვან მედიაში ანტიდასავლური პროპაგანდის საკითხებს სწავლობს. წინამდებარე კვლევა 2018 წლის მედია მონიტორინგის შედეგებს ასახავს, რომელიც ანტიდასავლურ გზავნილებს, ყალბ ინფორმაციას და მათ წყაროებს აანალიზებს. დაკვირვება როგორც მედია საშუალებებზე, ასევე სხვა წყაროებზე – პოლიტიკურ კლასზე, სასულიერო პირებზე, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და საზოგადოების ცალკეულ წარმომადგენლებზე ხორციელდებოდა.

ანგარიში 2018 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს მოიცავს. შესავალ ნაწილში წარმოდგენილია კვლევის მთავარი მიგნებები და მეთოდოლოგია; პირველ ნაწილში – ერთიანი რაოდენობრივი მონაცემები; მეორეში – ანტიდასავლური გზავნილები და მათი წყაროები; მესამე ნაწილში მიმოხილულია პროპაგანდის სტრატეგია და მეთოდები, ასევე განხილულია ის შემთხვევები, რომლებიც პროექტის „მითების დეტექტორის“ ფორმატში გამოვლინდა. ბოლო ნაწილში იმ წყაროების პროფილებია წარმოდგენილი, ვინც ანტიდასავლური გზავნილების მხრივ გამოირჩეოდა.

ანალოგიური კვლევა მედიის განვითარების ფონდმა 2014-2017 წლებშიც ჩაატარა. კვლევა საქართველოს გაეროს ასოციაციასთან (UNAG) პარტნიორობით, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამის „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერა“ ფარგლებში განხორციელდა.

მეთოდოლოგია

როგორც მედიის განვითარების ფონდის ადრე ჩატარებული კვლევა[1] ცხადყოფს, 2018 წელს რუსული არხებზე წვდომა ყველაზე მაღალი უმცირესობების კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში იყო, ვიდრე ქართულენოვან მედია მომხმარებელში. სწორედ ამიტომ აღნიშნული კვლევის ფარგლებში მონიტორინგის სუბიექტად ქართულენოვანი მედია საშუალებები შეირჩნენ.

მონიტორინგის სუბიექტებად შეირჩა როგორც მეინსტრიმული, ასევე ტაბლოიდური მედია. დაკვირვება 18 მედია საშუალებაზე ხორციელდებოდა. ტელევიზიების შემთხვევაში პროგრამული ბადის ცვლილებების გამო ზოგიერთი გადაცემა, რომელიც ეთერიდან მოიხსნა, ახალი ანალოგიური ფორმატის გადაცემებით ჩანაცვლდა. მონიტორინგი შემდეგ სუბიექტებზე განხორციელდა:

- **4 ტელევიზიის პრაიმ თაიმის ყოველდღიური საინფორმაციო და კვირის ანალიტიკურ გამოშვება:** საზოგადოებრივი მაუწყებელი (მოამბე, ახალი კვირა), რუსთავი 2 (კურიერი, P.S.), იმედი (ქრონიკა, იმედის კვირა), ობიექტივი (ახალი ამბები[2]).
- **7 ტელევიზიის თოქ-შოუ:** საზოგადოებრივი მაუწყებელი (კვირის ინტერვიუ, დებატები[3]), რუსთავი 2 (არჩევანი), იმედი (პირისპირ), ობიექტივი (ღამის სტუდია, ოქროს კვეთა), კავკასია (ბარიერი, სპექტრი), იბერია (თავისუფალი სივრცე[4]), მაესტრო (მედია რენტგენი[5]).
- **7 ონლაინ გამოცემა:** საქინფორმი, ნეტგაზეთი, ინტერპრესნიუსი, საქართველო და მსოფლიო, PIA, კვირის პალიტრა, მარშალპრესი.
- **4 გაზეთი:** რეზონანსი, პრაიმ თაიმი, ასავალ-დასავალი, ალია.

1 MDF (2019), „საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე უმცირესობებით დასახლებული რეგიონების ინფორმირება“. http://mdfgeorgia.ge/geo/view-library/107

2 2018 წლის 1 აპრილიდან მონიტორინგის სუბიექტებს დაემატა „ობიექტივის“ საინფორმაციო გამოშვება.

3 საარჩევნო „დებატები“ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში 2018 წლის 4 ოქტომბრიდან 28 ნოემბრამდე გადიოდა და საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატებს უთმობდა ეთერს.

4 გადაცემა „თავისუფალი სივრცე“ მონიტორინგის სუბიექტი 2018 წლის ოქტომბრამდე ოყო. 16 ოქტომბერს ტელეკომპანია „იბერიამ“ მაუწყებლობა შეწყვიტა.

5 გადაცემა „მედია რენტგენის“ მონიტორინგი ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში 2018 წლის მაისიდან ივნისის ჩათვლით განხორციელდა.

ანგარიშის მესამე ნაწილში მოცემულია ფაქტების გადამოწმების პორტალის „მითების დეტექტორის“ მიერ გამოვლენილი დეზინფორმაციის მაგალითები, რომლებიც ზემოთჩამოთვლილი მედია საშუალებების გარდა, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეირჩა.

მონიტორინგი როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისებრივ მონაცემებს ასახავს. რაოდენობრივი ნაწილი მოიცავს ანტიდასავლური კომენტარების რაოდენობას თემატიკის მიხედვით, ხოლო თვისებრივ ნაწილში მოცემულია გზავნილების ტიპოლოგია.

| სარჩევი

	მედია გარემოს მიმოხილვა და მთავარი მიგნებები	8
1.	**ერთიანი მონაცემები**	**11**
2.	**ანტიდასავლური გზავნილები და მათი წყაროები**	**20**
2.1.	მედია	20
2.2.	პარტიები/პოლიტიკოსები	29
2.3.	საზოგადოებრივი ორგანიზაციები	36
2.4.	სასულიერო პირები	38
2.5.	საზოგადოების წარმომადგენლები	39
3.	**პროპაგანდის სტრატეგია და მეთოდები**	**40**
3.1.	კრემლის სტრატეგია და ნარატივების სტრუქტურა	40
3.2.	პროპაგანდის მეთოდები და ტექნიკები	43
4.	**პროფილები**	**51**
4.1.	მედია	51
4.2.	პარტიები	52
4.3.	საზოგადოებრივი ორგანიზაციები	53
4.4.	სასულიერო პირები	54
4.5.	სხვადასხვა რესპონდენტები	54

დიაგრამები

დიაგრამა	1.	ანტიდასავლური გზავნილების თემატიკა	11
დიაგრამა	2.	ანტიდასავლური გზავნილების თემატიკა 2016-2018 წლებში	12
დიაგრამა	3.	გზავნილები ამერიკის შეერთებულ შტატებთან დაკავშირებით	13
დიაგრამა	4.	გზავნილები იდენტობასთან დაკავშირებით	14
დიაგრამა	5.	გზავნილები NATO-სთან დაკავშირებით	15
დიაგრამა	6.	გზავნილები დასავლეთთან დაკავშირებით	16
დიაგრამა	7.	გზავნილები რუსეთთან, ავტორიტარულ სისტემასთან დაკავშირებით	17
დიაგრამა	8.	გზავნილები ევროკავშირთან დაკავშირებით	18
დიაგრამა	9.	გზავნილები არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სოროსთან დაკავშირებით	18
დიაგრამა	10.	გზავნილები დიდ ბრიტანეთთან დაკავშირებით	19
დიაგრამა	11.	ანტიდასავლური გზავნილები წყაროების მიხედვით	20
დიაგრამა	12.	ანტიდასავლური გზავნილების წყაროები მედია საშუალებების მიხედვით	22
დიაგრამა	13.	ანტიდასავლური გზავნილების წყაროები პოლიტიკოსების მიხედვით	30
დიაგრამა	14.	ანტიდასავლური გზავნილების ტიპოლოგია პოლიტიკოსების მიხედვით	30
დიაგრამა	15.	ინფორმაციული გავლენის სტრატეგია	40
დიაგრამა	16.	დეზინფორმაციის თემატიკა	44
დიაგრამა	17.	დეზინფორმაციის იდენტური რუსული წყაროები	50

მედია გარემოს მიმოხილვა და მთავარი მიგნებები

მედიის განვითარების ფონდის ადრე ჩატარებული კვლევები[6] და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) 2018 წლის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები[7] ცხადყოფს, რომ უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში რუსულეოვანი მედია წყაროებზე შედარებით მაღალი დამოკიდებულების გამო, პირდაპირი რუსული პროპაგანდა ამ რეგიონებში უფრო ხილვადია, ვიდრე ქართულენოვან აუდიტორიაში. შესაბამისად, ჩვენ ერთმანეთისაგან ვმიჯნავთ, პირდაპირ რუსულ პროპაგანდას და არაპირდაპირ, ანუ ანტიდასავლურ პროპაგანდას, რომელიც სხვადასხვა ქართულენოვანი აქტორების მეშვეობით ხორციელდება. ამ აქტორების გზავნილების თანხვედრა ღიად კრემლისტურ წყაროებთან, სისტემატურობა და მიზანმიმართულობა, ზოგიერთ შემთხვევაში პირდაპირი თუ ირიბი კავშირები კრემლთან, ცხადყოფს, რომ განსხვავება მხოლოდ კომუნიკაციის არხებსა და ფორმებშია, რაც აუდიტორიის სპეციფიკისდა მიხედვით განისაზღვრება.

ბოლო წლების განმავლობაში (2015-2018) ერთგვაროვანი გზავნილების სისტემატური გავრცელება ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ამ პროცესს ცენტრალიზებული სახე აქვს. ამავე დროს დეზინფორმაციის ვირუსულად გასავრცელებლად, პერიოდულად ჩნდება ახალ-ახალი ონლაინ პლატფორმები, რომელთა მულტიპლიკაცია სოციალური მედიითაა შესაძლებელი, რაც მათ სისტემურ მონიტორინგსა და გავლენის გაზომვას ართულებს. ქართულენოვან კონტენტს კი აუდიტორია ყოველთვის პირდაპირ ვერ აკავშირებს გარე სახელმწიფოს საინფორმაციო ზეგავლენის აქტივობებთან, რაც პრობლემის იდენტიფიცირებას და მის აღქმას ართულებს.

წინამდებარე კვლევამ, რომელიც მხოლოდ ანტიდასავლურ გზავნილებს და სხვადასხვა წყაროებით გავრცელებულ დეზინფორმაციას მიმოიხილავს, შემდეგი ტენდენციები გამოავლინა:

6 MDF (2019), „საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე უმცირესობებით დასახლებული რეგიონების ინფორმირება“. http://mdfgeorgia.ge/geo/view-library/107
MDF (2018), „ანტიდასავლური პროპაგანდა 2017“. http://mdfgeorgia.ge/geo/view-library/89
MDF (2017), „ანტიდასავლური პროპაგანდა 2016“. http://mdfgeorgia.ge/geo/view-library/65

7 NDI, CRRC, მარტი, 2018. საზოგადოების განწყობა საქართველოში https://www.ndi.org/sites/default/files/NDI_March_2018_Public%20Presentation_Georgian_final%20%281%29.pdf

- დასავლეთის წინააღმდეგ კრემლის ინფორმაციული გავლენის აქტივობები საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებისთვის როგორც ნეგატიურ ანუ დესტრუქციულ, ასევე ირიბ-დესტრუქციულ სტრატეგიებს იყენებს.
- 2016-2017 წლის მონაცემებთან შედარება აჩვენებს, რომ 2018 წელს მზარდი არის როგორც ამერიკის წინააღმდეგ მიმართული, ასევე იდენტობის დაკარგვის საფრთხეზე ფოკუსირებული გზავნილები. ამასთანავე მზარდი ტენდენცია შეინიშნება ნატოს, დასავლეთის და დიდი ბრიტანეთის შემთხვევაშიც.
- არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ფილანტროპ ჯორჯ სოროსის წინააღმდეგ მიმართული გზავნილები თითქმის წინა წლის იდენტურია და მკვეთრად აღემატება 2016 წლის მონაცემებს.
- მზარდი ტენდენციის სახე აქვს ნეგატიურ დესტრუქციულ სტრატეგიას ყველა სხვა სუბიექტის მიმართ, თუ არ ჩავთვლით ევროკავშირს, რომლის წინააღმდეგ 2018 წელს 2017-თან შედარებით ნეგატიური გზავნილების კლების ტენდენცია იკვეთება, რაც საქართველოს მიერ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერითა და ვიზალიბერალიზაციის შედეგად გამოწვეული ხელშესახები პოზიტიური შედეგითაც შეიძლება იყოს განპირობებული.
- დასაველეთის დემონიზების ფონზე, პოზიტიური ანუ კონსტრუქციული სტრატეგია რუსეთის, როგორც დასავლეთის ალტერნატივად წარმოჩენას ახდენს, რაც ბოლო წლებში უფრო მკაფიო ხდება და ეტაპობრივად პროგრესირებს.
- საგარეო პოლიტიკის საკითხებზე პოლარიზების პარალელურად, ირიბი დესტრუქციული სტრატეგია რუსეთის საფრთხის ნიველირებას ახდენს და ახალი ნარატივის ფორმირებით ცდილობს დაამკვიდროს აზრი, რომ კონფლიქტი რუსეთ-საქართველოს შორის კი არა, არამედ ორ დიდ სუპერ-სახელმწიფოს შორის მიმდინარეობს, რასაც საქართველოს ინტერესები ეწირება.
- ირიბი-დესტრუქციული სტრატეგია, რომლის მიზანი არსებითი საკითხებიდან ფოკუსის გადატანა და რეალური პრობლემების უგულებელყოფაა, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტში როგორც რუსეთის („ამერიკის/დასავლეთის ინტერესებს საკუთარს ვწირავთ“, „რუსეთს არ უნდა 2008 წლის ომი განმეორდეს“), ასევე საქართველოს პასუხისმგებლობის („ჩვენ რა შუაში ვართ? „რატომ უნდა ვეომოთ?“) უარყოფას ახდენს.
- ხდებოდა როგორც სახელმწიფო სუვერენიტეტის („ადრე მოსკოვი გვმართავდა, ახლა ვაშინგტონი / ბრიუსელი“) და ეკლესიის ავტოკეფალიის (ამერიკა ეკლესიის საქმეებში ერევა, უკრაინის ავტოკეფალია ფიქციაა), ასევე დემოკრატიის (დასავლური დემოკრატია შერჩევითია) უარყოფა.
- ისევე როგორც წინა წლებში, ნეგატიური დესტრუქციული სტრატეგია 4 საფრთხეზე აპელირებდა. ესენია: ომის, ტერიტორიების დაკარგვის, ბიოდივერსიის და ასიმილაციის ანუ იდენტობის დაკარგვის საფრთხე.
- პოზიტიური, კონსტრუქციული სტრატეგია რუსეთის უძლეველობის მითს ამკვიდრებდა და საერთო რელიგიასა და საერთო მეხსიერებაზე (საბჭოთა წარსულზე) ახდენდა აქცენტირებას.
- წინა წლების მსგავსად ანტიდასავლური გზავნილების მთავარი წყარო მედია იყო, საიდანაც ძირითადად 5 მედია საშუალება გამოირჩეოდა. ესენია: გაზეთი და ონლაინ გამოცემა „საქართველო და მსოფლიო“ (Geworld.ge), რომლის გამომცემელი პრეზიდენტმა პუტინმა სპეციალური ორდენით დააჯილდოვა; ასევე ტვ „ობიექტივი“, რომელიც კრემლისტურ პარტია „პატრიოტთა ალიანსთან“ დაკავშირებული მედიუმია; გაზეთები „ასავალ-დასავალი“ და „ალია“, რომელთა სარედაქციო პოლიტიკა სიძულვილის ენას ეფუძნება და „საქინფორმი“, რომელსაც „საქართველო და მსოფლიოსთან“ როგორც ინსტიტუციონალური, ასევე შინაარსობრივი ბმა აქვს.

- წინა წლების მსგავსად, გამოიკვეთა ორი კრემლისტური პარტია, რომელიც ანტიდასავლურ გზავნილებს ყველაზე ხშირად ავრცელებდა. ესენია „პატრიოტთა ალიანსი“ და „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა. ამასთანავე, მმართველი პარტიის „ქართული ოცნების“ ცალკეული წარმომადგენლები კვლავ აკეთებდნენ განცხადებებს, რომლებიც ხელისუფლების გაცხადებულ პოზიციასთან მოდიოდა წინააღმდეგობაში.
- მედია მონიტორინგის საფუძველზე გამოვლინდა 24 საზოგადოებრივი ორგანიზაცია და მოძრაობა, რომელიც ანტიდასავლურ გზავნილებს ავრცელებდა, მათი დიდი ნაწილი „ეროვნულ ძალთა შეთანხმების“ შემადგენლობაშია, რომელიც როგორც ღიად პრორუსულ, ასევე ულტრანაციონალისტურ ჯგუფებს აერთიანებს, მათ შორის პრიმაკოვის სახელობის ცენტრს, ქართულ მარშს, ევრაზიულ ინსტიტუტს და სხვებს.
- 18 სასულიერო პირიდან გამოიკვეთა 5, რომელიც ანტიდასავლური კომენტარებით ყველაზე მეტად გამოირჩეოდა და ძირითადად იდენტობის დაკარგვის საფრთხეზე, ასევე მართლმადიდებელ სამყაროში განხეთქილების შეტანაში ამერიკის დადანაშაულებაზე ამახვილებდა ყურადღებას. ხუთიდან ოთხი მოქმედი სასულიერო პირი, ხოლო ერთი – ეკლესიის მიერ განკვეთილია.
- გამოიკვეთა ასევე ორი უცხოელი ჟურნალისტი (ამერიკელი და ბულგარელი), რომელთა გამოცემებიც რუსეთთან არის დაკავშირებული და რომელთაც რუსეთის სახელმწიფო მედია ლუგარის ლაბორატორიის შესახებ ბიოდოვერსიის კონსპირაციის გასამყარებლად რესპონდენტებად ხშირად იყენებს. ბულგარელი ჟურნალისტის მიერ ამ თემაზე გავრცელებულმა კონფიდენციალურმა ელექტრონულმა და სამსახურეობრივმა მიმოწერამ საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროდან დოკუმენტების გაჟონვის ფაქტი გამოავლინა, რასაც სამართლებრივი მსვლელობა მიეცა.
- 2018 წელს გავრცელებული ყალბი ამბებიდან ყველაზე მეტი დეზინფორმაცია ან მანიპულირებული კონტენტი იყო, რომელსაც კონსპირაციები, ისტორიის, სტატისტიკის, ინტერვიუს გაყალბება მოსდევს. ვიდეომანიპულაციების უმეტესობა მიგრანტებს შეეხებოდა და ძირითადად ულტრანაციონალისტური ფეისბუკ გვერდების მეშვეობით ვრცელდებოდა; ხოლო ფოტომანიპულაცია მიგრანტების თემასთან ერთად საგარეო პოლიტიკის საკითხებსაც შეეხებოდა.
- 2017 წლის მსგავსად, კვლავ აპრობირებული პრაქტიკა იყო სატირულ-იუმორისტული გამოცემების მიერ გავრცელებული გამოგონილი ამბების, ასევე ლიტერატურული ნაწარმოებების ფრაგმენტების რეალურ ფაქტებად წარმოჩენა.
- ქართულენოვან მედიაში გავრცელებული ყალბი ინფორმაციის იდენტური მასალა ხშირად რუსულენოვან მედია საშუალებებშიც იბეჭდებოდა, რაც შესაძლოა, წყაროს არიდების ანუ დეფლექციურ მოდელზე მიუთითებდეს.

1. ერთიანი მონაცემები

2018 წელს მონიტორინგის სუბიექტ 18 მედია საშუალებაში სულ 2392 ანტიდასავლური კომენტარი გამოვლინდა, რაც წინა წლის მონაცემებს 21,6%-ით (1967) აღემატება. 2017 წლის მსგავსად, გამოიკვეთა ანტიამერიკული გზავნილების ზრდის ტენდენცია, რაც 2018 წელსაც დომინანტი თემა (26,4%) იყო. ამერიკის შემდეგ ყველაზე მეტი ანტიდასავლური გზავნილი იდენტობის დაკარგვის საფრთხეს (21,1%) შეეხებოდა, რომელსაც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის – ნატოს (16,3%) და ზოგადად დასავლეთის (14,2%)[8] წინააღმდეგ გაკეთებული კომენტარები მოსდევს. რუსეთის, როგორც დასავლეთის ალტერნატივის წარმოჩენა და ავტორიტარული მმართველობის იდეალიზება (7,1%), ისევე როგორც ევროკავშირის წინააღმდეგ გაკეთებული კომენტარები (6,4%) შედარებით მცირე იყო. არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ფილანტროპ ჯორჯ სოროსის წინააღმდეგ მიმართული გზავნილები (6,1%) თითქმის წინა წლის იდენტური იყო, ხოლო დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ – შედარებით მცირედი, მაგრამ მაინც მზარდი (2,4%).

დიაგრამა 1. ანტიდასავლური გზავნილების თემატიკა



[8] ამ კატეგორიაში მოხვდა გზავნილები, რომლებიც ერთდროულად როგორც ამერიკას, ასევე ევროპას და საერთაშორისო ინსტიტუტებს შეეხება; ასევე შემთხვევები, როცა დასავლეთი როგორც ერთიან გეოპოლიტიკურ და ღირებულებით სივრცედ განიხილება.

2016-2017 წლების მონაცემებთან შედარება აჩვენებს, რომ მზარდი არის როგორც ამერიკის წინააღმდეგ მიმართული (2018 – 632; 2017 – 510; 2016 – 170), ასევე იდენტობის დაკარგვის საფრთხეზე ფოკუსირებული (2018 – 505; 2017 – 253; 2016 – 411) გზავნილები. მზარდი ტენდენცია შეინიშნება ასევე ნატოს (2018 – 390; 2017 – 362; 2016 – 253), დასავლეთის (2018 – 340; 2017 – 277; 2016 – 251) და დიდი ბრიტანეთის (2018 – 56; 2017 – 19) შემთხვევაში. აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთის დასავლეთის საპირწონედ წარმოჩენის და ავტორიტარული მმართველობის იდეალიზების ტენდენცია ბოლო ორ წელიწადში უფრი მკაფიო გახდა (2018 – 171; 2017 – 142). 2017 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად იკლო ევროკავშირის წინააღმდეგ გზავნილებმა (2018 – 152; 2017 – 264), რაც შესაძლოა, ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის ამოქმედების ხელშესახები შედეგითაც იყოს განპირობებული. არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ფილანტროპ ჯორჯ სოროსის წინააღმდეგ მიმართული გზავნილები თითქმის წინა წლის იდენტური იყო (2018 – 146; 2017 – 144) და მკვეთრად აღემატებოდა 2016 წლის მონაცემებს (61).

დიაგრამა 2. ანტიდასავლური გზავნილების თემატიკა 2016-2018 წლებში



თემატიკა	2018	2017	2016
ამერიკა	632	510	170
იდენტობა	505	253	411
Nato	390	362	253
დასავლეთი	340	277	251
რუსეთის უალტერნატივობა / ავტორიტარული მმართველობის იდეალიზება	171	142	
ევროკავშირი	152	264	112
NGO/ჯორჯ სოროსი	146	144	61
დიდი ბრიტანეთი	56	19	

ამერიკა. წინა წლების მსგავსად დომინირებდა აზრი, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ხელყოფს საქართველოს სუვერენიტეტს, ერევა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და რეალურად მართავს ქვეყანას (132). ამ მხრივ ყველაზე მეტი კრიტიკა საქართველოში ამერიკის ყოფილი ელჩის იან კელის მიმართ გამოითქმოდა, თუმცა მონიტორინგის მეორე ნახევარში ეს რიტორიკა შეიცვალა ნარატივით, რომ ამერიკამ საქართველოს მიმართ ინტერესი და რეგიონში პოზიციები დაკარგა (19), რის საილუსტრაციოდაც ამერიკის ადმინისტრაციის მიერ საქართველოში ახალი ელჩის დანიშვნის გაჭიანურება სახელდებოდა. ამერიკა წარმოდგენილი იყო როგორც კონფლიქტების, ძალადობის, სახელმწიფო გადატრიალებების ინსპირატორი (87), რომელიც ახალისებს ბიოდივერსიას (49) და ტერორიზმს (24). გზავნილები, რომელთა თანახმად, ამერიკა ეკლესიის საშინაო საქმეებში ერევა (55), ძირითადად ქართველი სასულიერო პირების ვაშინგტონში ვიზიტებს და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მხარდასაჭერად მათ მიერ გაკეთებულ განცხადებებს შეეხებოდა; ასევე უკრაინის ავტოკეფალიის აღიარების ინიციატივას, რომელიც ამერიკულ პროექტად და მართლმადიდებელ სამყაროში განხეთქილების შეტანის მცდელობად იყო წარმოჩენილი. ნარატივი, რომ ამერიკა საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ პლაცდარმად იყენებს (47), მიზნად ისახავდა აზრის დამკვიდრებას, რომ რეალურად საქართველო ამერიკა-რუსეთს შორის დაპირისპირებას ეწირება და კონფლიქტის მხარეები საქართველო და რუსეთი კი არა, დიდი იმპერიებია, რომლებიც ერთმანეთს გავლენების გადანაწილებისთვის უპირისპირდებიან. ამავე ნარატივს ამყარებდა ძველი გზავნილი, რომ წინა ხელისუფლებამ 2008 წელს რუსეთთან ომი ამერიკის წაქეზებით დაიწყო (37), რომ ამერიკა არ არის დაინტერესებული კონფლიქტების მოგვარებით და რუსეთთან საქართველოს ხელისუფლების პირდაპირი დიალოგით (35). ინერგებოდა სკეპტიციზმი, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს არ ძალუძს საქართველოს დაცვა საფრთხეებისგან (48), ამერიკული დემოკრატია პირობითია და ის ორმაგი სტანდარტებითა და პოლიტიკური მიზანშეწონილობით მოქმედებს (31).

დიაგრამა 3. გზავნილები ამერიკის შეერთებულ შტატებთან დაკავშირებით



იდენტობა/ღირებულებები. იდენტობის დაკარგვის შიშებთან დაკავშირებულ გზავნილებში კვლავ დომინირებდა მოსაზრება, რომ დასავლეთი თავს გვახვევს მიუღებელ ღირებულებებს (162), ჰომოსექსუალობას, პედოფილიას, გარყვნილი ცხოვრების წესს (156), ებრძვის მართლმადიდებლობას (89), ებრძვის ტრადიციულ ოჯახს/თვითმყოფადობას (61). ამასთანავე, ქართული იდენტობის დეგრადირების წინააღმდეგ მიმართულად იყო შეფასებული ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციაზე ინიცირებული დისკურსი, რაც დასავლეთის მხრიდან ნარკომანიის თავსმოხვევად (33) იყო ინტერპრეტირებული.

დიაგრამა 4. გზავნილები იდენტობასთან დაკავშირებით



NATO. 2017 წლის მსგავსად კვლავ ინერგებოდა სკეპტიციზმი, რომ საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება არარეალურია (142), რომ ნატოში საქართველოს გაწევრიანება იმ ტერიტორიების დაკარგვის ხარჯზე მოხდება, რომლებიც რუსეთს აქვს ოკუპირებული (84), რაც მეტწილად ჰერიტიჯის ფონდის საერთაშორისო პოლიტიკის მიმომხვილველის ლუკ კოფის ანგარიშს უკავშირდებოდა, რომლის მოსაზრება საქართველოს ნატოში დაჩქარებული წესით ინტეგრირებასთან დაკავშირებით, არასწორად იყო ინტერპრეტირებული კრემლისტურ მედია გამოცემებსა და პრორუს აქტორებს შორის. კერძოდ, კვლევის ავტორის ლუკ კოფის განმარტებით, მისი რეკომენდაცია გულისხმობს ნატოს წესდების მე-5 მუხლის დროებით არგავრცელებას რუსეთის მიერ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთზე მანამ, სანამ არ აღდგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. ეს მოსაზრება ინტერპრეტირებული იყო როგორც ამერიკის ხელისუფლების ოფიციალური პოზიცია, რომელიც ნატოში საქართველოს ინტეგრირებას ტერიტორიების დათმობის საფასურად მიიჩნევდა შესაძლებლად. ამავე დროს ნატოსთან საქართველოს თანამშომლობა რუსეთის პროვოცირებად და სამხედრო ესკალაციის შესაძლებლობად იყო წარმოჩენილი (50); მკვიდრდებოდა აზრი, რომ ნატო საქართველოს ვერ დაიცავს და მის წინაშე არსებულ უსაფრთხოების გამოწვევებს ვერ გაუმკლავდება (30), ნატოს ეგიდით საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში ქართველი ჯარისკაცების მონაწილეობა კოლექტიურ უსაფრთხოებაში შეტანილი წვლილის ნაცვლად, სხვა ქვეყნებისთვის გაღებულ ხარკად (23) იყო წარმოჩენილი; ხოლო თავად ნატო – აგრესიულ ბლოკად და საფრთხედ (18). კონსპირაცია, რომ საქართველოს ნატოში ინტეგრაცია ქვეყანაში თურქეთის ჯარის ინტერვენციას გამოიწვევდა (11), კვლავ აქტუალური იყო, ისევე როგორც ცალკეული მოსაზრებები, რომ ნატო ქართველი ხალხის არჩევანი არ არის (9).

ᲓᲘᲐᲒᲠᲐᲛᲐ 5. ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘ NATO-ᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ



ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ. დასავლეთის მხრიდან საქართველოს სუვერენულ საქმეებში ჩარევა და ქვეყნის მართვა (75) ამ შემთხვევაშიც დომინანტი თემა იყო, ისევე როგორც მოსაზრება, რომ დასავლეთს საქართველოს დაცვა არ ძალუძს (71). მკვიდრდებოდა მოსაზრებები, რომ დასავლეთი საქართველოსა და უკრაინას რუსეთის წინააღმდეგ იყენებს (35), რომ ის არ არის დაინტერესებული კონფლიქტების მოგვარებითა და რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირებით (16), რომ დასავლეთი ხელს არ უწყობს ქვეყნის განვითარებას (22). დასავლური ინსტიტუტების მიმართ სკეპტიციზმთან (18) ერთად, დასავლეთი გადატრიალებების და ძალადობის ინსპირატორად (18) იყო წარმოჩენილი, ხოლო დასავლური დემოკრატია პირობითად შეფასებული, რომელიც ორმაგი სტანდარტებით მოქმედებს (18). ნარატივი, რომ დასავლეთი თავს გვახვევს მიგრანტებს (11) ძირითადად საქართველოს ხელისუფლების მიერ მიგრაციის შესახებ ხელმოწერილ გაეროს გლობალურ კომპაქტს[9] უკავშირდებოდა.

9 მითების დეტექტორი, https://www.mythdetector.ge/ka/myth/dezinpormatsia-titkos-gaeros-kompakti-sakartvelos-migrantebis-mighebas-avaldebulebs

დიაგრამა 6. გზავნილები დასავლეთთან დაკავშირებით



რუსეთის უალტერნატივობა/ავტორიტარული მმართველობის იდეალიზება. მთავარი გზავნილი საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლის და დასავლეთის ნაცვლად ძლიერ რუსეთთან თანამშრომლობის აუცილებლობა (39) იყო, რასაც ჩრდილოელ მეზობელთან მოლაპარაკებების უალტერნატივობის და პირდაპირი დიალოგის აუცილებლობის შესახებ (27) ნარატივიც ამყარებდა. კრემლისტური აქტორები ამკვიდრებდნენ აზრს, რომ რუსული პროპაგანდა არარეალურია, ხოლო დასავლური – რეალური (23), ისინი ამასთანავე რუსეთის სამხედრო-შეიარაღებული ძლიერების (20) და რუსული ბაზრის (7) უპირატესობის კულტივირებას ახდენდნენ. ხდებოდა ხაზგასმა რუსეთის, როგორც მართლმადიდებელი ქვეყნის მესიანისტურ მისიასა და ერთმორწმუნე ქვეყნის უპირატესობაზე (6). ავტორიტარული რეჟიმების გამართლება როგორც დიქტატორების - სტალინი, კადაფი, ასადი – იდეალიზებას, ასევე ბაშარ ალ-ასადის გამართლებას ახდენდა, რომ მას სირიაში ქიმიური იარაღი არ გამოუყენებია და დასავლეთის კოალიციის პრეტენზიები სირიის ხელისუფლების მიმართ უსაფუძვლო იყო (28). ამასთანავე საბჭოთა კავშირის მიმართ ნოსტალგიის გაღვივების შემთხვევებიც იკვეთებოდა (14).

დიაგრამა 7. გზავნილები რუსეთთან, ავტორიტარულ სისტემასთან დაკავშირებით



ევროპა/ევროკავშირი. ევროსკეპტიციზმის (34) შემდეგ ყველაზე მეტი გზავნილი ევროინტეგრაციის საფასურად ქვეყანაში მიგრანტების მიღების ვალდებულებას (26) შეეხებოდა. მიგრაციის კრიზისი ევროპის პოლიტიკის შედეგად იყო წარმოდგენილი (16), ხოლო ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლა – ემიგრაციის მაპროვოცირებელ გარემოებად და დემოგრაფიული პრობლემების გამომწვევად (16). გზავნილი, რომ ევროინტეგრაცია და ვიზალიბერალიზაცია საქართველოსთვის უსარგებლოა, ემყარებოდა მოსაზრებებს, რომ ვიზალიბერალიზაცია საქართველოს მოქალაქეებს ევროპაში მუშაობის შესაძლებლობას არ აძლევს და ევროკავშირი ქართველი მიგრანტების მიმართ ორმაგი სტანდარტებით მოქმედებს (13). ისევე როგორც სხვა სუბიექტების შემთხვევაში, მკვიდრდებოდა მოსაზრება, რომ ევროკავშირი ხელს არ უწყობს საქართველოს განვითარებას (10), ერევა ქვეყნის სუვერენულ საქმეებში და მართავს პროცესებს (9), ორმაგი სტანდარტებით მოქმედებს (8) და საქართველოს დაცვა არ ძალუძს (5).

დიაგრამა 8. გზავნილები ევროკავშირთან დაკავშირებით



NGO, ჯორჯ სოროსი. ამერიკელი ფილანტროპისა და ფონდ ღია საზოგადოების დამფუძნებლის ჯორჯ სოროსის წინააღმდეგ გაკეთებული კომენტარები ძირითადად სოროსის, როგორც ტრადიციულ იდენტობასთან მებრძოლის წარმოჩენას ახდენდა და ამკვიდრებდა აზრს, რომ სოროსი მის მიერ გამოზრდილი კადრების მეშვეობით ქვეყნის შიდა საქმეებში ერევა (58), რაც სხვა საკითხებთან ერთად ნარკოლიბერალიზაციის პოლიტიკასაც უკავშირდებოდა, რომელიც ნარკომანიის პოპულარიზაციად იყო ინტერპრეტირებული. საქართველოში ფონდის საქმიანობის აკრძალვის (8) მოთხოვნასთან ერთად, უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობოების აკრძალვის მოწოდებებიც (5) ისმოდა. არასამთავრობო ორგანიზაციები უცხო ქვეყნის დაკვეთების შემსრულებლად და ჯაშუშებად იყვნენ წარმოჩენილი (48), რომლებიც ტრადიციულ იდენტობას ებრძვიან (27).

დიაგრამა 9. გზავნილები არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სოროსთან დაკავშირებით



დიდი ბრიტანეთი. დიდ ბრიტანეტთან მიმართებით ყველაზე მეტი ნეგატიური გზავნილი სერგეი სკრიპალის და მისი ქალიშვილის მოწამვლის საქმეს უკავშირდებოდა, რა დროსაც რუსეთის მიმართ მიღებული სანქციები და ამ სანქციებისადმი საქართველოს მხარდაჭერა პროვოკაციად იყო შეფასებული (26), ხოლო თავად რუსეთის მიერ სკრიპალების მოწამვლის ფაქტი – უსაფუძვლოდ (19). ჰიბრიდულ გამოწვევებთან დიდი ბრიტანეთის ბრძოლა კი რუსეთის წინააღმდეგ დეზინფორმაციულ კამპანიად იყო ინტერპრეტირებული (4).

დიაგრამა 10. გზავნილები დიდ ბრიტანეთთან დაკავშირებით



2. ანტიდასავლური გზავნილები და მათი წყაროები

2.1 მედია

წინა წლების მსგავსად ანტიდასავლური გზავნილების მთავარი წყარო ძირითადად 5 მედია საშუალება იყო. ესენია: გაზეთი და ონლაინ გამოცემა „საქართველო და მსოფლიო“ (Geworld.ge), სადაც ყველაზე მეტი საავტორო ნეგატიური კომენტარი (662) გამოქვეყნდა, რესპონდენტთა მხრიდან კი ამ მონაცემმა 266 შეადგინა. შემდეგ ადგილზეა საინფორმაციო პორტალი „საქინფორმი“ (სარედაქციო კომენტარი – 317, რესპონდენტი – 39), ტვ „ობიექტივი“ (სარედაქციო კომენტარი – 137, რესპონდენტი – 338), გაზეთები „ასავალ-დასავალი“ (სარედაქციო კომენტარი – 93, რესპონდენტი – 181) და „ალია“ (სარედაქციო კომენტარი – 27, რესპონდენტი – 69). აღსანიშნავია, რომ ტვ „ობიექტივის“ რესპონდენტთა რაოდენობა თითქმის სამჯერ (338), ხოლო „ასავალ-დასავალის“ ორჯერ (181) აღემატებოდა ჟურნალისტების მიერ გაკეთებულ ანტიდასავლურ კომენტარებს. რესპონდენტთა ასეთი არჩევანი კი ამ მედია საშუალებების სარედაქციო პოლიტიკის გამოხატულებაა, რომელიც ძირითადად ანტიდასავლური შინაარსისაა, ერთგვაროვან მოსაზრებებს ეყრდნობა და ალტერნატიული შეხედულებებისთვის სივრცეს არ ტოვებს.

დიაგრამა 11. ანტიდასავლური გზავნილების წყაროები მედია საშუალებების და მათი რესპონდენტების მიხედვით



კატეგორიაში სხვადასხვა ის მედია საშუალებებია გაერთიანებული, სადაც სხვადასხვა რესპონდენტთა ანტიდასავლური კომენტარები გაშუქდა. აქედან ყველაზე მეტი ონლაინ სააგენტო „მარშალპრესში“ (50), ტვ „კავკასიაში“ (40), სააგენტო IPN-ში, საზოგადოებრივ მაუწყებლის პირველ არხზე (30) და გაზეთ „რეზონანსში“ (24) იყო წარმოდგენილი.

მედია	რესპონდენტები
მარშალპრესი	50
კავკასია	40
IPN	30
საზოგადოებრივი მაუწყებელი, 1 არხი	30
რეზონანსი	24
რუსთავი 2	17
იბერია	17
PIA	12
კვირის პალიტრა	11
იმედი	9
პრაიმ ტაიმი	8
ნეტგაზეთი	8

ყველაზე მეტი ანტიამერიკული კომენტარი ონლაინ გამოცემა „საქართველო და მსოფლიოს“ ავტორებმა გამოაქვეყნეს (157). ონლაინ გამოცემა „საქინფორმის“ (114), ასევე ტვ „ობიექტივის“ (50) შემთხვევაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ანტიამერიკულ გზავნილებს ჰქონდა. იდენტობის დაკარგვის საფრთხეზე ყველაზე მეტ კომენტარს „საქართველო და მსოფლიოში“ (174) ვხვდებით, ხოლო გაზეთების „ასავალ-დასავალი“ (25) და „ალია“ (14) გზავნილებიდან იდენტობის დაკარგვის საფრთხე ყველაზე მაღალია. ნატოს წინააღმდეგ ყველაზე მეტი კომენტარი „საქართველო და მსოფლიოს“ (84), „საქინფორმის“ (72) და ტვ „ობიექტივის“ (22) შემთხვევაში გაკეთდა. ევროკავშირის წინააღმდეგ გზავნილების მხრივ ლიდერობს „საქართველო და მსოფლიო“ (55), არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ჯორჯ სოროსის წინააღმდეგ – გაზეთი „ასავალ-დასავალი“ (27), ხოლო დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ – „საქინფორმი“ (13). რუსეთს, როგორც დასავლეთის ალტერნატივას და ავტორიტარული მმართველობის იდეალიზებას ყველაზე მეტად 3 მედია საშუალების – „საქართველო და მსოფლიო“ (51), „საქინფორმი“ (30), ტვ „ობიექტივი“ (17) – შემთხვევაში ვხვდებით.

დიაგრამა 12. ანტიდასავლური გზავნილების ტიპოლოგია მედია საშუალებების მიხედვით



გზავნილი, რომ ამერიკა საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ პლაცდარმად იყენებს და რეალურად კონფლიქტი რუსეთ-საქართველოს შორის კი არა, არამედ დიდ სახელმწიფოებს შორის დაპირისპირების შედეგია, რომელსაც საქართველოს ინტერესები ეწირება, 2018 წელს უფრო თვალსაჩინო გახდა. სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის ოკუპანტ ქვეყანასთან ერთ სიბრტყეში განხილვა მიზნად რუსეთის პასუხისმგებლობის გაუფერულობას და რეალური საფრთხის უგულებელყოფას ისახავდა.

ამერიკა საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ პლაცდარმად იყენებს

- **გიორგი გიგაური ჟურნალისტი:** „...და მესამეც, რუსეთი ამდენი წელი იმიტომაც გვებრძვის ღიად, რომ ამერიკა გავიხადეთ სტრატეგიულ პარტნიორად, ანუ კოლონიად ჩავბარდით და ანტირუსული პლაცდარმის ფუნქციას ვასრულებთ![10]“
- **ნიკა კორინთელი, ჟურნალისტი:** „საქართველოს ხელისუფლება კი, რომელიც აშშ-ის „სტრატეგიულ მოკავშირეობაზე“ დებს თავს, ვერ ხვდება, რომ ძია სემს საქართველო მხოლოდ რუსეთთან დასაპირისპირებლად სჭირდება“[11].
- **ბონდო მძინარაშვილი, წამყვანი:** „დიდი სახელმწიფოების დაპირისპირებამ საქართველოს ტერიტორია არ გადააქციოს სირიის ტერიტორიად... პოლიგონად არ გადავიქცეთ იმ სახელმწიფოებისთვის, რომლებსაც ძალიან ნაკლებად ადარდებს ერთსაც და მეორესაც ახლა რამდენი ქართველი იცხოვრებს ამ ტერიტორიაზე, საქართველოში“[12].
- **ბესო ბარბაქაძე, ჟურნალისტი:** „საფუძვლიანი ეჭვი გვაქვს, რომ ამერიკის მილიტარისტულ სამზადისში საქართველო ერთ-ერთ მონაწილედ განიხილება... ის, რომ ამერიკისთვის სულერთია, რომელი ქვეყნის ჯარისკაცი შეეწირება რუსეთთან ბრძოლას, არაერთხელ დამტკიცებულა“[13].

10 ასავალ-დასავალი, 14-20 მაისი

11 საქართველო და მსოფლიო, 17 მაისი. https://bit.ly/2s4KXcx

12 ობიექტივი, ღამის სტუდია, 28 მარტი. https://www.myvideo.ge/v/3557638

13 საქართველო და მსოფლიო, 2 თებერვალი. http://bit.ly/2seJFPi

ამავე დროს ამერიკის მიმართ უნდობლობას კიდევ უფრო ამძაფრებდა გზავნილები, რომლებიც ერთი მხრივ, კონფლიქტების გაღრმავებაში ამერიკის დაინტერესებას და საფრთხეების დაძლევაში ამერიკის როლის უგულებელყოფას ახდენდა.

ან ანის დაინტერესებული კონფლიქტების მოგვარებით

- **არნო ხიდირბეგიშვილი, საქინფორმის მთავარი რედაქტორი:** „დიალოგის დაწყება საჭიროა... მაგრამ აშშ-ის საელჩომ ხელისუფლებას მათი პოტენციალის გამოყენება აუკრძალა, იმიტომ რომ ეს რუსებთან, ოსებთან და აფხაზებთან ქართველების შერიგებით ემუქრება, რაც აშშ-ის სტრატეგიულ ამოცანას ეწინააღმდეგება“[14].

ომი ამერიკის წაქეზებით დაიწყო

- **ბონდო მძინარაშვილი, წამყვანი:** „რუსები საზღვარს ავლებენ სწორედ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის იმ საზღვრებში, რომელი საზღვრებიც აღადგინა სააკაშვილმა... სწორედ იმ ამერიკელი სენატორების და ცალკეული ქორების წაქეზებით გააკეთა ეს, რომლებმაც, საბოლოო ჯამში დაღუპეს საქართველო და საქართველოს ორი ძირძველი ტერიტორია აღმოჩნდა, რომ რუსეთმა აღიარა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად[15]“.
- **გიორგი გიგაური, ჟურნალისტი:** „აღარაფერს ვამბობ იმაზე, თუ როგორ გვიღალატა უკვე შვილიბუშის ამერიკამ, როდესაც სააკაშვილს პირდაპირ 2008 წლის აგვისტოს ომში „მიადენინა“ სრულიად საქართველო[16]“.

ვერ დაგვიცავს

- **რედაქცია:** „...საქართველოს N1 სტრატეგიული პარტნიორი – მსოფლიოს ყველაზე მდიდარი სუპერსახელმწიფო ყველაზე დიდი არმიით, როგორც ყოველთვის, მხოლოდ „ღრმა შეშფოთებით“ შემოიფარგლება, იმიტომ რომ რუსეთის ეშინია და, როგორც ყოველთვის, მეტი არაფრის გაკეთება შეუძლია, თორემ „სამხრეთ ოსეთი“ დღეს „ოკუპირებული“ არ იქნებოდა![17]“.

ახალისებს ტერორიზმს, რუსეთი რეალურად ებრძვის

- **ვალერი კვარაცხელია, წამყვანი:** „რუსეთმა მიაღწია გამარჯვებას სირიაში და დაამარცხა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ შექმნილი, მათ მიერ ორგანიზებული, მათ მიერ დაფინანსებული, მათ მიერ შეიარაღებული და მათ მიერ წახალისებული ტერორისტული სახელმწიფო“[18].

14 საქინფორმი, 19 მარტი. https://bit.ly/2wkHCs6
15 ობიექტივი, ღამის სტუდია, 11 იანვარი. https://www.myvideo.ge/v/3495563
16 ასავალ-დასავალი, 14-20 მაისი
17 საქინფორმი, 1 მარტი. https://bit.ly/2VZLFJE
18 ობიექტივი, ოქროს კვეთა, 15 იანვარი. http://www.myvideo.ge/v/3499025

ახალისებს ბიოდივერსიებს

- **ვალერი კვარაცხელია, წამყვანი:** „ითქვა, რომ იქ [ლუგარის ლაბორატორიაში] მზადდება ისეთი ვაქცინები, რომლებიც რაღაც დრონების მეშვეობით სადღაც შეიგზავნება და მათ აქვთ... სამხედრო დანიშნულება“[19].

ამერიკა ახალისებს გადატრიალებებს

- **გიორგი გიგაური, ჟურნალისტი:** „ვინც ამერიკულ კაბალაზე განაცხადა თანხმობა, სისხლიანი სახელმწიფო გადატრიალების გზით მოიყვანეს კიდეც ხელისუფლებაში!“[20].
- **დავით მხეიძე, ავტორი:** „არათუ სახელმწიფო გადატრიალება მოაწყო, არამედ კიევის პროამერიკულმა ხელისუფლებამ ომი წამოიწყო დონბას-ლუგანსკში და დაემუქრა ყირიმს“[21].
- **არნო ხიდირბეგიშვილი, მთავარი რედაქტორი:** „აშშ-მა საფრანგეთში „ყვითელი ჟილეტების“ ბუნტი მოაწყო, რათა დაესაჯა ჰილარი კლინტონის ფინანსისტთა ჯგუფის მიერ დაყენებული პრეზიდენტი მაკრონი, რომელმაც კანცლერ მერკელთან ერთად ნატოზე უარის თქმა და საკუთარი, ევროპული არმიის შექმნა ჩაიფიქრა“[22].

წინა წლებისგან განსხვავებით, ვითარდებოდა ახალი ნარატივი, რომ ამერიკა ეკლესიის საქმეებში ერევა, რის ილუსტრაციადაც ძირითადად მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირების ვაშინგტონში ვიზიტები, ასევე უკრაინის ავტოკეფალიის დამოუკიდებლობის საკითხი სახელდებოდა.

ამერიკა ეკლესიის საქმეებში ერევა

- **დიტო ჩუბინიძე, ჟურნალისტი**: „პენტაგონის ჯარების, ნატო-ს შტაბბინის, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტისა და თუ კრემლის დახმარებით მცხეთის საპატრიარქო ტახტის ხელში ჩაგდების მცდელობას შესაძლოა, გამოუსწორებელი პოლიტიკური შედეგი მოჰყვეს და საქართველოს ეკლესიაც ისევე დაიშალოს, როგორც საბერძნეთის ეკლესია დაანგრიეს მინიმუმ შვიდ დამოუკიდებელ სინოდად და სამწყსოდ![23]“
- **ნინო რატიშვილი, წამყვანი:** „ამერიკის შეერთებული შტატებიდან უნდა დაინიშნოს პატრიარქი?! აი, ამისი ეჭვიც მაქვს უკვე[24]“.
- **რედაქცია:** „ომი მართლმადიდებლობის წინააღმდეგ პოროშენკომ ამერიკელების წაქეზებით დაიწყო... აღსანიშნავია, რომ აშშ დაჰპირდა პოროშენკოს უკრაინის რელიგიურ კონფლიქტში ჩარევას[25]“.

19 ობიექტივი, ოქროს კვეთა, 15 სექტემბერი. http://www.myvideo.ge/v/3675867
20 ასავალ-დასავალი, 30 ივლისი – 5 აგვისტო
21 საქართველო და მსოფლიო, 4 აპრილი. https://bit.ly/2Iu3eX7
22 საქინფორმი, 7 დეკემბერი. https://bit.ly/2Et3G8B
23 ასავალ-დასავალი, 19-25 თებერვალი
24 ობიექტივი, ღამის სტუდია, 19 თებერვალი. http://www.myvideo.ge/v/3528372&rc=1
25 საქართველო და მსოფლიო, 19 სექტემბერი. https://bit.ly/2piTI1w

წინა წლების მსგავსად მკვიდრდებოდა აზრი, რომ ამერიკა არა მხოლოდ ეკლესიის საქმეებში, არამედ სუვერენული სახელმწიფოს საქმეებში ერევა და ფაქტობრივად საქართველოს ხელისუფლებასაც მართავს, ასევე თავს გვახვევს მიუღებელ ღირებულებებს.

ამერიკა გვმართავს

- **ინკოგნიტო წყარო:** „მისი გარემოცვიდან გამოდის ხმები, რომ ივანიშვილს ამერიკის სპეცსამსახურები აშანტაჟებენ[26]“.
- **ბონდო მძინარაშვილი, წამყვანი:** „საქართველოს პრეზიდენტის დირექტორი, პრემიერ-მინისტრის დირექტორიც არის ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში და არა აქ მნიშვნელობა ამ ელჩის გვარსა და სახელს, სამწუხაროდ“[27].

თავს გვახვევს მიუღებელ ღირებულებებს

- **ჯაბა ხუბუა, ჟურნალისტი:** „საქართველოში იან კელის ელჩობის დროს არნახულ მასშტაბებს მიაღწია ანტიეროვნული, ლიბერასტული, მამათმავლური იდეოლოგიის პროპაგანდამ და პრონარკოტიკულმა მოძრაობამ, რომელიც საბოლოო ჯამში, ქართველი ერის მორალურ და ფიზიკურ გენოციდს ისახავს მიზნად![28]“

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების მიმართ სკეპტიციზმის სისტემატურად გაღვივების გარდა, ნატოში გაწევრიანება ტერიტორიების დაკარგვის საფრთხესთან და რუსეთის პროვოცირებასთან იყო გაიგივებული. ამასთანავე მკვიდრდებოდა მოსაზრება, რომ ქართველი ჯარისკაცები სხვის უსაფრთხოებას ეწირებოდნენ და არა კოლექტიურს.

ნატო = ტერიტორიების დაკარგვას

- **ბესო ბარბაქაძე, ჟურნალისტი:** „ნატოს წევრი თუ გახდებით, აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე უარის თქმა მოგიწევთო[29]“.

ნატო = რუსეთის პროვოცირებას

- **ბაკურ სვანიძე, ჟურნალისტი:** „ქართველებს ნატოსთან ასეთი „ჯერარნახული სიახლოვის“ შესახებ ფრაზები, სულ ცოტა, 20 წელიწადია, გვესმის... რეალურად საქართველოს რუსეთის შესაჩხიკინებელი ჯოხის ფუნქცია აკისრია![30]“

26 ალია, 12-18 თებერვალი

27 ობიექტივი, ღამის სტუდია, 8 მარტი. https://www.myvideo.ge/v/3541720

28 ასავალ-დასავალი, 26 თებერვალი – 4 მარტი

29 საქართველო და მსოფლიო, 1 მარტი. http://bit.ly/2Fg5eEz

30 საქართველო და მსოფლიო, 26 ივლისი. https://bit.ly/2vbWxnF

ქართველი ჯარისკაცები სხვის უსაფრთხოებას ეწირებიან

- **ნინო რატიშვილი, წამყვანი:** „ჩვენ ვაძლევთ, ჩვენ ბიჭებს [ნატოს], საზარბაზნე ხორცად... რაში გამოიხატება მათი სარგებელი საქართველოსთვის?[31]“
- **არნო ხიდირბეგიშვილი, საქინფორმი:** „ჩვენი საუკეთესო სამხედროები საქართველოს საქართველოში რომ ემსახურებოდნენ და ნატოს მისიებში დაქირავებულებად არ მიდიოდნენ, განა ოთხოზორია და ტატუნაშვილი დაიღუპებოდნენ?![32]“

მართლმადიდებელი რუსეთის და ევრაზიული ერების მესიანისტურ მისიაზე გზავნილებს ძირითადად „საქართველო და მსოფლიოში“ ვხვდებით, რუსეთის სამხედრო ძლიერებაზე აპელირებას, ასევე რუსეთთან მოლაპარაკებების უალტერნატივობას – სხვადასხვა მედია საშუალებებში, გაზეთ „ალიას“ გარდა.

მართლმადიდებელი რუსეთის/ ევრაზიული ერების მესიანისტური მისია

- **დავით მხეიძე, ავტორი:** „მთელი ლიბერასტული დასავლეთი ებრძვის მართლმადიდებელ რუსეთს; რუსეთს, რომელსაც დამარცხება არ უწერია, რადგანაც ამ ომში მართლმადიდებელი რუსეთის დამარცხება სატანისტების ღმერთზე გამარჯვებას ნიშნავს, რასაც არ დაუშვებს არსთა გამრიგე“[33].
- **ალექსანდრე ჭაჭია, საქართველო და მსოფლიოს დამფუძნებელი:** „ჩვენი კულტურა კი რუსეთის იმპერიაში შეიქმნა, ძალიან მსგავსი ორი რელიგიის - მართლმადიდებლობისა და ისლამის ბაზაზე... ევრაზიული ერების ახალ თაობებს სულ მალე დაეკისრებათ კაცობრიობის გადარჩენის უდიდესი მისია[34].“

რუსეთის სამხედრო ძლიერების უპირატესობა

- **არნო ხიდირბეგიშვილი, საქინფორმის მთავარი რედაქტორი:** „კვირიკაშვილი და ილია მეორე მიხვდნენ, რომ რუსეთს მიუფურთხებია საქართველოს მოკავშირეების – აშშ-სა და ნატოსთვის, იმიტომ რომ ახალ, მათთვის მიუწვდომელ სტრატეგიულ იარაღს ფლობს, რომელსაც ნებისმიერი აგრესორის რამდენიმე წუთში განადგურება შეუძლია“[35].

რუსეთთან დიალოგის უალტერნატივობა

- **გივი სომხიშვილი, ავტორი:** „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ერთმორწმუნე რუსეთთან ურთიერთობის მეგობრობის დონეზე მოგვარებაა საქართველოს გაბრწყინების საწინდარი“[36].

31 ობიექტივი, ღამის სტუდია, 30 აპრილი. http://www.myvideo.ge/v/3581454
32 ასავალ-დასავალი, 19 – 25 მარტი
33 საქართველო და მსოფლიო, 13 დეკემბერი. https://bit.ly/2BjufdN
34 რუსთავი 2, პოსტსკრიპტუმი, 9 სექტემბერი. https://www.myvideo.ge/v/3666282
35 საქინფორმი, 19 მარტი. https://bit.ly/2wkHCs6
36 საქართველო და მსოფლიო, 11 ოქტომბერი. https://bit.ly/2OIuleo

საბჭოთა კავშირის და ავტორიტარული მმართველობის იდეალიზება სოციალურად დაცული სახელმწიფოს იდეას, დემოკრატიაზე ადგილობრივი საზოგადოებების დაკვეთის დეფიციტს, ასევე დიქტატორების ქმედებების გამართლებას ეფუძნებოდა.

ნოსტალგია საბჭოთა კავშირის მიმართ

- **ვალერი კვარაცხელია, წამყვანი:** „საბჭოთა სოციალისტური სისტემა იყო ის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა საქართველოს და არა მარტო საქართველოს, არამედ საბჭოთა კავშირში შემავალ ყველა რესპუბლიკას, ერთის მხრივ, ადამიანთა სრული სოციალური დაცულობით, მეორეს მხრივ, სრული უსაფრთხოებით, მესამეს მხრივ, სამართლიანი ცხოვრების წესით[37].“

დიქტატორული რეჟიმების გამართლება

- **ნინო რატიშვილი, წამყვანი:** „ძაან დიდი ბოდიში, მაგრამ აი, ეს შექმნილი ვითრება ხო ამერიკის ბრალია?!... იმ სახელმწიფოში [ლიბია, სირია, ერაყი] ადამიანები თავისი გაგებით კარგად ცხოვრობდნენ, როდესაც შენ ეუბნები, რომ შენ კარგად არ ცხოვრობ, შენ სიტყვის თავისუფლება და დემოკრატია გაკლია, კითხე იმ ადაიანებს, უნდათ ეს დემოკრატია და სიტყვის თავისუფლება![38]“
- **გიორგი გიგაური, ჟურნალისტი:** „ლუკაშენკომ ხომ თავისი ქვეყანა „ფერადი რევოლუციებისგან“ დაიცვა და თავისი სამშობლო ლიბერასტების თარეშისგან იხსნა![39]“

ევროკავშირის თემაზე გზავნილები ძირითადად იდენტობის დაკარგვის და როგორც ქართველების ქვეყნიდან ემიგრაციის, ასევე უცხოელების საქართველოში იმიგრაციის საფრთხეს უკავშირდებოდა.

ევროკავშირი ებრძვის მართლმადიდებლობას

- **ნიკა კორინთელი, ჟურნალისტი:** „ეს ყველაფერი – მართლმადიდებლობასა და ყოველივე ქართულთან ბრძოლა, დასავლეთის მიერ რომ არის თავსმოხვეული ე.წ. ვიზალიბერალიზაციის სანაცვლოდ“[40].

ევროკავშირი თავს გვახვევს ჰომოსექსუალობას

- **გიორგი გიგაური, ჟურნალისტი:** „ეს საბრალო ბავშვი კი, ჩვენს ბავშვებთან ერთად ივლის ბაღსა და თუ სკოლაში და შესაბამისად, ჩვენი შვილებიც პატარაობიდანვე ეზიარებიან „ევროპულ ფასეულობებს“, რომლის მიხედვითაც, ბავშვს, თურმე, შეიძლება „დედა“ კაცი ჰყავდეს და თვითონაც ჯერ ვერ გაერკვიოს, რა სქესისაა, მამრი თუ მდედრი...[41]“

37 ობიექტივი, ოქროს კვეთა, 7 ივლისი. http://www.myvideo.ge/v/3630665
38 ობიექტივი, ღამის სტუდია, 16 აპრილი. http://www.myvideo.ge/v/3572009
39 ასავალ-დასავალი, 26 მარტი – 1 აპრილი
40 საქართველო და მსოფლიო, 4 მაისი. https://bit.ly/2l8oFx2
41 ასავალ-დასავალი, 12-18 მარტი

ევროპა საკუთარი ტოლერანტობის მძევალია

- **ლუკა მაისურაძე, ჟურნალისტი:** „ევროპელები, რომლებმაც დაივიწყეს ქრისტიანული პოსტულატები და თავგამოდებით დაიწყეს „უმცირესობების უფლებების“ დაცვა, დაუცველი აღმოჩნდნენ ეროვნულად და რელიგიურად ერთსულოვანი მიგრანტების წინაშე, რომლებიც თავიანთი ცხოვრების წესებს აგრესიულად ახვევენ თავს ევროპას“[42].

ევროკავშირი = ქართველების მიგრირებას

- **ნინო რატიშვილი, წამყვანი:** „როდესაც ქალბატონმა მერკელმა ბრძანა, რომ ჩვენ გვჭირდება კვალიფიციური მუშახელი... თუ კვალიფიციური მუშახელი ოფიციალურად გაედინება საქართველოდან, იმიტომ რომ აქ გაჭირვებაა, აქ არასდროს შეიქმნება არც საშუალო ფენა და არც ელემენტარული, რომელ ეკონომიკაზეა საუბარი? და მერე იცით რა, ახლა, როდესაც გვეუბნებიან, რომ ირანელები არიან ტურისტები, არ არიან.[43]“

ფონდ ღია საზოგადოების დამფუძნებლის ჯორჯ სოროსისა და არასამთავრობოების წინააღმდეგ გზავნილებს ძირითადად გაზეთ „ასავალ-დასავალსა“ და „საქართველო და მსოფლიოში“ ვხვდებით. იდენტობის დაკარგვის საფრთხესთან და უცხო ქვეყნების დაკვეთასთან ერთად სოროსისა და არასამთავრობოების მიერ ნარკომანიის თავსმოხვევის თემაც ჩნდება, რაც ძირითადად ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციას უკავშირდებოდა.

არასამთავრობოები ებრძვიან ეკლესიას, ტრადიციულ ოჯახს

- **გიორგი გიგაური, ჟურნალისტი:** „სოროსელ ალქაჯებსა და ლიბერასტებს ჩვენს დედაეკლესიას ნუ აგინებინებ და უფლის გეშინოდესო![44]“
- **ჯაბა ხუბუა, ჟურნალისტი:** „აგრესიული პროპაგანდისტული კამპანია, რომელსაც ნეოლიბერალური სინდიკატის მიერ გრანტებით გამოკვებილი არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოში „ოჯახური ძალადობის“ წინააღმდეგ აწარმოებენ, იქნებ რეალურად ოჯახის ინსტიტუტის წინააღმდეგ არის მიმართული და მის რღვევას ემსახურება? აკი, საქართველოში უკვე მოქმედებს ე.წ. იუვენალური იუსტიცია, რომლის ძალითაც ე.წ. სოციალურ მუშაკს, სადღაც ლიბერასტულ კანტორაში რომ დაატრენინგეს, უფლება აქვს, მშობლებს შვილი წაჰგვაროს![45]“

სოროსი თავს გვახვევს ნარკომანიას

- **გიორგი გიგაური, ჟურნალისტი:** „მარიხუანას ლეგალიზაციით, ფაქტობრივად, დაფინანსდა მარიხუანას მიწოდებაც, ანუ მარიხუანას ბარიგების მაფიაც!.. აი, ასე ახდა საქართველოში საერთაშორისო ნარკომაფიოზი [ჯორჯ] სოროსის ოცნება![46]“

42 საქართველო და მსოფლიო, 19 აპრილი. https://bit.ly/2HxVRB7
43 ობიექტივი, ღამის სტუდია, 24 აგვისტო. http://www.myvideo.ge/v/3657615
44 ასავალ-დასავალი, 17-23 დეკემბერი
45 ასავალ-დასავალი, 24-30 სექტემბერი
46 ასავალ-დასავალი, 6-12 აგვისტო

არასამთავრობოები უცხო ქვეყნის დაკვეთას ასრულებენ

- **ალექსანდრე ჭაჭია, „საქართველოს და მსოფლიოს“ დამფუძნებელი:** „ყველა ამ პოლიტიკური დაჯგუფების კადრების სამჭედლოს წარმოადგენს აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ეგიდით შექმნილი სოროსული არასამთავრობო ორგანიზაციები... სად პოულობენ ამ ფიზიკურად და ზნეობრივად მახინჯებს და რისთვის სჭირდებათ ისინი ამერიკელებსო?[47]“

სკრიპალების საქმეზე ბრიტანეთის ბრალდებები – უსაფუძვლოდ, ხოლო საქართველოს ჩართვა რუსეთის მიმართ სანქციებში პროვოკაციად იყო შეფასებული.

სკრიპალების მოწამვლაზე ბრალდებები უსაფუძვლოა

- **გივი სომხიშვილი, ავტორი:** „ახლახან ბრიტანეთის პრემიერმა – ტერეზა მეიმ განგაში რომ ატეხა, რუსეთმა ჩვენი აგენტი – სკრიპალი და მისი ქალიშვილი მოწამლესო, ევროკავშირის ქვეყნებიც აყვნენ და რუსეთის საელჩოებიდან თანამშრომლები გამოყარეს; სკრიპალები კი ჯანმრთელები არიან, აქლემის კი არა, სპილოს გაძვრენა არ იყო ნემსის ყუნწში?[48]“

რუსეთის მიმართ სანქციები პროვოკაციაა

- **ნინო რატიშვილი, წამყვანი:** „როცა იცი, რომ ამ ნაბიჯს [რუსი დიპლომატის გაძევებას] შეიძლება მოჰყვეს უამრავი ჩემი თანამოქალაქის საშინელი დისკომფორტი და შენ აბსოლუტურად არ გაინტერესებს ამ ადამიანების ბედი, ან შენ რაში გჭირდება – საქართველოდან ახლა ეს რომ არ გაეძევებინათ, რა მერე?.. შენ ხომ კარგი ხარ, პუტინი ხომ ცუდია“[49].

2.2. პარტიები / პოლიტიკოსები

წინა წლების მსგავსად, გამოიკვეთა ორი პარტია, რომელიც ანტიდასავლურ გზავნილებს ყველაზე ხშირად ავრცელებდა, თუმცა 2016-2017 წლებისგან განსხვავებით, 2018 წელს პატრიოტთა ალიანსი (103) გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობას (86) უსწრებდა. საკმაოდ მაღალი იყო ასევე რუსეთის ხელისუფლების და სხვა უცხო ქვეყნების წარმოამდგენელთა ანტიდასავლური კომენტარები (74), რომელთაც „ქართული დასი“ (27), „თავისუფალი საქართველო“ (24), „სოციალისტური საქართველო“ (22) და ყოფილი ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლები (17) მოსდევენ. აღსანიშნავია, რომ „სოციალისტური საქართველოს“ ლიდერი, ვალერი კვარაცხელია ტვ „ობიექტივის“ წამყვანიც არის და მედიის ნაწილშიც ფიგურირებს.

47 საქართველო და მსოფლიო, 8 ნოემბერი. https://bit.ly/2FmzZch
48 საქართველო და მსოფლიო, 26 ივლისი. https://bit.ly/2OuVo3I
49 ობიექტივი, ღამის სტუდია, 3 აპრილი. https://www.myvideo.ge/v/3566817

დიაგრამა 13. ანტიდასავლური გზავნილების წყაროები პოლიტიკოსების მიხედვით



როგორც პატრიოტთა ალიანსის (26), ასევე გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის (25) შემთხვევაში ყველაზე მეტი გზავნილი ნატოს წინააღმდეგ იყო მიმართული; ყველაზე მეტ ანტიამერიკულ გზავნილებს კი რუსეთის ხელისუფლებისა (34) და გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის (25) მხრიდან ვხვდებით. იდენტობის დაკარგვის საფრთხეზე (17) ყველაზე მეტი გზავნილი პატრიოტთა ალიანსის შემთხვევაში გვხვდება, ისევე როგორც ბრიტანეთის წინააღმდეგ მიმართული კომენტარები (7).

დიაგრამა 14. ანტიდასავლური გზავნილების ტიპოლოგია პოლიტიკოსების მიხედვით



2018 წელს მკვეთრად იმატა კომენტარებმა, რომლებიც ამერიკის მხრიდან რუსეთის საზღვრებთან ბიოდივერსიის საფრთხეზე ამახვილებდა ყურადღებას, რაც ძირითადად თბილისში მოქმედ რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ლაბორატორიას უკავშირდებოდა. პოლიტიკოსებიდან კომენტარების უმეტესობა რუსეთის ხელისუფლებას, ასევე პატრიოტთა ალიანსის წარმომადგენლებს და საქართველოს უშიშროების ყოფილ მინისტრს იგორ გიორგაძეს ეკუთვნით.

ამერიკა ახალისებს ბიოდივერსიას

- **მარია ზახაროვა, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალური წარმომადგენელი:** „სუვერენულმა სახელმწიფოებმა სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა იმიტომ არ მოიპოვეს, რომ მათ მოსახლეობაზე ლუგარის სახელობის ლაბორატორიის მახლობლად ბავშვები ანომალიებით იბადებიან. მოსახლეობა შველას ითხოვს![50]“
- **ვლადიმერ ერმაკოვი, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს შეიარაღების გაუვრცელებლობისა და კონტროლის საკითხების დეპარტამენტი:** „რუსეთი საკუთარ საზღვრებთან ამერიკელების მიერ ბიოლოგიური ექსპერიმენტების ჩატარებას არ დაუშვებს[51].“
- **იგორ გიორგაძე, საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრი:** „ასეთ ექსპერიმენტებს [ლუგარის ლაბორატორიის] ასობით ჩემი თანამემამულის სიცოცხლე შეეწირა[52]“.
- **გიორგი მაღლაკელიძე, პატრიოტთა ალიანსი:** „თუკი ეს ასეა, რომ მას [ლუგარის ლაბორატორიას] აფინანსებს ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრო, პენტაგონიდან უშუალოდ... ალბათ, იქ ბავშვის სათამაშო იარაღებს და სათამაშო თოჯინებს არ აკეთებენ, ალბათ, იქ სერიოზული კვლევები მიდის, რადგანაც ასეთი ლაბორატორიები თვით ამერიკის შეერთებულ შტატებში საკმაოდ შეზღუდულია[53].“

ამავე დროს, როგორც პატრიოტთა ალიანსი, ასევე გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის წარმომადგენლები ეჭვქვეშ აყენებდნენ რუსეთის ორი მოქალაქის მიმართ ბრიტანეთის მთავრობის მიერ წაყენებულ ბრალდებებს, რომელთაც რუსეთის ყოფილი ჯაშუშის სერგეი სკრიპალის და მისი ქალიშვილის იულია სკრიპალის „ნოვიჩოკით“ მოწამვლაში ედებოდათ ბრალი. ამ ქმედების გამო საქართველოს ხელისუფლების მხრიდან რუსეთისათვის დაწესებული სანქციებისადმი მიერთება და დიპლომატების გაძევება რუსეთის პროვოცირებად და ქვეყნისათვის საზიანო ქმედებად იყო შეფასებული.

რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები = პროვოკაცია

- **ნინო ბურჯანაძე, გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა:** „გამოძიება ჯერ არ ჩატარებულა და ამავდროულად იძახიან, რომ რუსეთის გაკეთებულიაო...[54]“

50 ობიექტივი, ახალი ამბები, 14 სექტემბერი. https://www.myvideo.ge/v/3676020
51 ობიექტივი, ახალი ამბები, 25 სექტემბერი. https://www.myvideo.ge/v/3678525
52 საქინფორმი, 12 სექტემბერი. https://bit.ly/2WzWAcF
53 ობიექტივი, ღამის სტუდია, 19 ოქტომბერი. https://www.myvideo.ge/v/3698099
54 კავკასია, ბარიერი, 2 აპრილი. http://www.myvideo.ge/v/3561490

- **ირმა ინაშვილი, პატრიოტთა ალიანსი:** „სკრიპალის თემა და მხარდაჭერა ნიშნავს იმას, რომ შენი ქვეყნის ინტერესები გაწირე და შენი ქვეყანა ლომის ხახაში მიეცი პირდაპირ შესაჭმელად![55]“

როგორც კრემლისტური პარტიები, ასევე მმართველი გუნდის ერთ-ერთი წევრი ავითარებდნენ ახალ ნარატივს, რომ რეალურად კონფლიქტი რუსეთსა და დასავლეთს, რუსეთსა და ამერიკას შორის მიმდინარეობს და რომ ამ ბრძოლაში საქართველოს ჩართვა ქვეყნისთვის ზიანის მომტანი იქნება, რადგანაც დიდი სახელმწიფოების დაპირისპირებას საქართველოს ინტერესები და ტერიტორიები ეწირება. ღრმავდებოდა ასევე სკეპტიციზმი, რომ ამერიკას და დასავლელ პარტნიორებს ჩვენი დაცვა არ ძალუძთ. ამ კონტექსტში ნატოსთან თანამშრომლობა რუსეთის პროვოცირებად, ხოლო ნეიტრალიტეტი და რუსეთ-საქართველო-ნატოს სამმხრივი ფორმატი ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების დაძლევის გზად ისახებოდა.

რუსეთ-ამერიკის/დასავლეთის დაპირისპირებას საქართველოს ინტერესები ეწირება

- **დავით თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი:** „რუსეთი და დასავლეთი ერთმანეთს ებრძვიან სირიაში თუ უკრაინაში, ჩვენ რა შუაში ვართ?.. რამდენიც ჩვენ ამ სახის ბრძოლაში ჩავერთეთ, იმდენჯერ წაგებულები დავრჩით, ტერიტორიებიც დავკარგეთ[56]“.
- **ზაზა პაპუაშვილი, ქართული ოცნება:** „ჩვენზე ძლიერი ქვეყნები შეიარაღებით, ფინანსებით, ბიუჯეტით, ეკონომიკით, მიხედონ, ძმაო, ამ რუსეთს, რა... მე რატო მევალება, რო მე უნდა შევუვარდე ამ მუხლუხოებში და მე უნდა მოვისპო, მე უნდა ამოვწყდე, რო ვიღაცა სხვა ქვეყნებმა თქვას, რომ ხედავთ რუსეთი როგორ ექცევა პატარა საქართველოს, ეს არის, კაცო, ჩემი დანიშნულება?[57]“
- **ნინო ბურჯანაძე, გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა:** „ახლა დამოუკიდებლობის 100 წლისთავის მიძღვნილ აღლუმზე ამერიკული ჯარების გამოყვანა მოჰყვა, რის საპასუხოდ სირიის მხრიდან აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ აღიარება მივიღეთ. როდემდე უნდა შევწიროთ ჩვენი ქვეყნის ინტერესები ამერიკის შეერთებული შტატების და დასავლეთის ინტერესებს, როდემდე უნდა გავუკეთოთ პროვოცირება რუსეთს[58]“ ...

დასავლეთი ვერ დაგვიცავს

- **ტრისტან წითელაშვილი, ჩვენი სამშობლო:** „რუსეთს თავდაცვის ძლიერი ჰაერსაწინააღმდეგო სისტემები აქვს. ეს ქვეყანა არც კი შემოიჭრება საქართველოში, თავისი ტერიტორიიდან ისე განახორციელებს წერტილოვან დარტყმებს და მაშინ ვერც „ჯაველინი“ გვიშველის და ვერც „სტინგერი“... თანამედროვე სამხედრო ტექნოლიგიებში „ჯაველინები“ აღარ გამოიყენება“[59].

55 საზოგადოებრივი მაუწყებელი, კვირის ინტერვიუ, 20 აპრილი. http://www.myvideo.ge/v/3575461
56 ობიექტივი, ღამის სტუდია, 29 მარტი. https://www.myvideo.ge/v/3558321
57 მარშალპრესი, 22 მარტი. http://marshalpress.ge/archives/168260
58 ინტერპრესნიუსი, 30 მაისი. https://bit.ly/3101wqH
59 საქართველო და მსოფლიო, 28 ივნისი. https://bit.ly/2KfAxmc

ნატო = რუსეთის პროვოცირებას

- **გრიგორი კარასინი, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე:** „ადექვატური რეაგირება გვექნება ამ მასშტაბურ სწავლებაზე[60], რადგან ისინი ჩვენს საზღვრებთან ჩატარდება... ნატოელი ქვედანაყოფების ყოფნა უპასუხისმგებლო პოლიტიკოსების წახალისებას ახდენს, ჩვენ კი არ გვსურს, რომ იგივე განმეორდეს [რაც 2008 წელს]"[61].
- **გიორგი ლომია, პატრიოტთა ალიანსი:** „რატომ უნდა გავიჭყლიტო მე, პატარა სახელმწიფო?... და თუ ჩემი გულისთვის [ნატო] ომს არ დაიწყებ, იმ საომარ მდგომარეობას მაინც ნუ შექმნი და იმ პროვოცირებას მაინც ნუ აკეთებ, რომლის შედეგადაც შეიძლება წამოიწყოს ომი თითონ რუსეთმა"[62].

ნეიტრალიტეტი/ნატო-საქართველო-რუსეთის ფორმატი

- **ნინო ბურჯანაძე, გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა:** „მე არ მინდა ჩემი ქვეყანა ვაქციო პოლიგონად, რომელსაც ნატო გამოიყენებს რუსეთის წინააღმდეგ... ეს [უბლოკო სტატუსია] საჭიროა, რათა მიუხედავად ხელისუფლების ცვლილებისა და შეხედულებისა, საქართველო იყოს თავისუფალი სხვა ქვეყნების სამხედრო ბაზებისგან და ნეიტრალური ნებისმიერი კონფლიქტის შემთხვევაში"[63].
- **ირმა ცხორაგაული, პატრიოტთა ალიანსი:** „დიახ, რუსეთთან მე სწორედაც იმიტო მინდა ურთიერთობა, გნებავთ იმ ნატოსთან, და ეს ფორმატი [ნატო-რუსეთი-საქართველო] იმიტო უნდა შედგეს, რომ რუსეთი დარწმუნდეს იმაში, რომ ნატოსგან იგი ხელშეუხებელი იქნება ჩემი ტერიტორიებიდან"[64].

მტკიცება, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი ამერიკის წაქეზებით დაიწყო და ამერიკა არ არის დაინტერესებული კონფლიქტების მოგვარებით, რომ რუსეთთან მოლაპარაკებებს ალტერნატივა არა აქვს, პოლიტიკოსების შემთხვევაშიც აქტუალური იყო. ამასთანავე, მმართველი პარტიის წარმომადგენელი რუსული არხების აკრძალვის ნაცვლად, კულტურის დიპლომატიური ზემოქმედების საშუალებად გამოყენებას ანიჭებდა უპირატესობას.

2008 წლის ომი ამერიკის წაქეზებით დაიწყო

- **ნინო ბურჯანაძე, გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა:** „სააკაშვილი მაკ-კეინმა და რესპუბლიკელებმა წააქეზეს და საქართველო დაღუპეს[65]..."

ამერიკა არ არის დაინტერესებული კონფლიქტების მოგვარებით

- **ირმა ინაშვილი, პატრიოტთა ალიანსი:** „...როცა [სააკაშვილი ვაშინგტონიდან] თბილისში დაბრუნდა, პირველივე კომენტარი იყო, რუსეთთან საუბარი დანაშაულია, რუსეთი არაა სანდო, რუსეთი ოკუპან-

60 2019 წელს დაგეგმილ ნატო-საქართველოს ერთობლივ წვრთნებზე
61 სააგენტო პირველი, 11 აგვისტო. https://bit.ly/2yh80Vo
62 ობიექტივი, ღამის სტუდია, 1 თებერვალი. https://www.myvideo.ge/v/3516779
63 ობიექტივი, ოქროს კვეთა, 14 ივლისი. https://www.myvideo.ge/v/3643367
64 ობიექტივი, ღამის სტუდია, 24 მარტი. https://www.myvideo.ge/v/3557566
65 ასავალ-დასავალი, 13-19 აგვისტო

ტია. ვსვამ კითხვას: გვინდა საერთოდ ქვეყნის გამთლიანება, თუ არ გვინდა?.. მტერთან ლაპარაკი არ შეიძლებაო... მოყვარესთან ქეიფით ქვეყანას რომ ვერ ვაერთიანებთ“[66].

რუსეთთან პირდაპირი დიალოგი უალტერნატივოა

- **ვაჟა ოთარაშვილი, პატრიოტთა ალიანსი:** „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის მიერ არჩეული გეზი, რუსეთთან ნორმალური, დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების არის უალტერნატივო![67]“

რუსული არხების და რუსეთთან კულტურული ურთიერთობების აუცილებლობა

- **ნუკრი ქანთარია, ქართული ოცნება:** „ზოგი ამბობ, ეს [რუსული არხები] უნდა გავთიშოთ. რას ქვია, 21-ე საუკუნეში რამე გათიშო?.. ძალიან ხშირად მიდის ხოლმე იგივე კულტურაზე, „რასია კულტურა,“ რომელიც არის და ქართული ფილმები, ქართული სერიები, იგივე „ORT“-ზეც შეხვედრები სწორედ და ნოსტალგიური გახსენებები... აი, ეს არის ის ძაფები... საიდანაც უნდა დაიწყოს... ჩვენი კულტურა არ არი გამოყენებული როგორც ემოციურად ზემოქმედების დიპლომატიური საშუალება... ან ვლანძღავთ ვიღაცებს, ვინც იქ დავუშვათ წავა და ღალატის იარლიყი არი და არავითარი მისიით იმას არც ვუშვებთ, რომ პირიქით, რო რაღაც წავიდნენ და რაღაც გარკვეული ხიდები გაიბას ხალხებს შორის.[68]“

გზავნილს, რომ ამერიკა ახალისებს ტერორიზმს, ძირითადად რუსეთის ხელისუფლების და პატრიოტთა ალიანსის წარმომადგენლები ავრცელებდნენ.

ამერიკა ახალისებს ტერორიზმს

- **გიორგი მაღლაკელიძე, პატრიოტთა ალიანსი:** „პრაქტიკულად ამ ტერორისტულ დაჯგუფებებს [სირიაში] თითონ ამერიკის შეერთებული შტატები და ძალიან განვითარებული ქვეყნები ედგნენ[69]“.
- **მარია ზახაროვა, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი:** „...როგორც ჩანს, ჯერ ყველას არ უთქვამს აშშ-სთვის მადლობა ერაყისთვის, სადაც ამერიკელების შეჭრის შედეგად „ისლამური სახელმწიფო“ წარმოიშვა[70].“

ამერიკის და დასავლეთის მხრიდან საქართველოს სუვერენულ საქმეებში ჩარევა რუსულ იმპერიასთან და საბჭოთა კავშირთან იყო გაიგივებული, ზოგ შემთხვევაში კი საბჭოთა ავტორიტარიზმი – გაიდიალებული.

ამერიკა გვმართავს

- **ნინო ბურჯანაძე, გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა:** „ხელისუფლება, რომელიც იმაზე მეტად ემორჩილება ამერიკის ელჩს, ვიდრე მე-19 საუკუნეში ემორჩილებოდა საქართველო რუსეთის

66 მარშალპრესი, 14 მარტი. http://marshalpress.ge/archives/166610.
67 ობიექტივი, ღამის სტუდია, 20 ივნისი. https://www.myvideo.ge/v/3618533
68 ობიექტივი, ღამის სტუდია, 29 მარტი, 2018. https://www.myvideo.ge/v/3558507
69 ობიექტივი, ღამის სტუდია, 11 აპრილი. https://www.myvideo.ge/v/3568417
70 ინტერპრესნიუსი, 12 აპრილი. https://bit.ly/2ldXI1N

მეფისნაცვალს, ასეთი ხელისუფლება გარღვევას ვერ გააკეთებს რუსულ-ქართულ ურთიერთობებში[71].“

- **ვაჟა ოთარაშვილი, პატრიოტთა ალიანსი:** „არაფერი განსხვავება არ არი ეხლა, მე მოსკოვი მომცემს დირექტივებს თუ ვაშინგტონი“[72].

საბჭოთა კავშირის იდეალიზება

- **გიორგი ლომია, პატრიოტთა ალიანსი:** „მაშინ, როდესაც ჩვენ მონებს გვეძახდნენ, ყველაზე მეტად თავისუფლები ვიყავით[73]“.

მიგრანტების მიღების ვალდებულებაზე დეზინფორმაციული გზავნილები, ერთი მხრივ, საქართველოში გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის ვიზიტს, მეორე მხრივ, მიგრაციის შესახებ გაეროს კომპაქტის საქართველოს მიერ ხელმოწერას შეეხებოდა.

თავს გვახვევს მიგრანტებს

- **დავით თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი:** „როგორ ბედავთ ჩვენი ხელისუფლება, რომ კიდე აქ სირიელი, კიდე ვერ გაიგებ, ვინ შემოგყავს და ვინ არი ეს ხალხი?[74]“
- **ჯონდი ბაღათურია, ქართული დასი:** „საქართველოში იგეგმება ეთნიკური ბალანსის შეცვლა!.. აქ პარალელურად მიმდინარეობს უცხოტომელთა მასობრივი ჩამოსახლება! ანგელა მერკელის ვიზიტის მიზანიც გაცხადდა – საქართველოში 200 ათასი მიგრანტი უნდა ჩამოასახლონ![75]“

როგორც კრემლისტური, ასევე სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენლები ამკვიდრებდნენ მოსაზრებას, რომ დასავლეთი თავს გვახვევს მიუღებელ ღირებულებებს.

ევროპა/დასავლეთი თავს გვახვევს მიუღებელ ღირებულებებს

- **ოლეგ იაძე, ქართული ოცნება:** „არ არის საქართველო ევროპა, საქართველო არის კავკასია და მორჩა! ვინ უშლის ამ ნაძირალა „ცისფერებსა“ თუ ყავისფერებს რამეს? მაგრამ რუსთველზე ნუ ჩამომივლიან კურტუმოს ქნევით და თავიანთ სიბინძურეს თავს ნუ მომახვევენ![76]“
- **გიორგი ახვლედიანი, გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა:** „...უნდა ვისაუბროთ იმაზე, რამდენი მილიონი დოლარი იხარჯება ყოველწლიურად აი, იმ პროპაგანდაზე, რომელიც ებრძვის ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას[77].“

71 იბერია, თავისუფალი სივრცე, 23 მარტი. http://www.myvideo.ge/v/3553901
72 ობიექტივი, ღამის სტუდია, 26 მაისი. https://www.myvideo.ge/?video_id=3600846
73 ობიექტივი, ღამის სტუდია, 7 ივნისი. https://www.myvideo.ge/v/3608694
74 ობიექტივი, ღამის სტუდია, 20 დეკემბერი. https://www.myvideo.ge/v/3726508
75 ასავალ-დასავალი, 10-16 სექტემბერი
76 ასავალ-დასავალი, 21-27 მაისი
77 კავკასია, ბარიერი, 8 მაისი. https://www.myvideo.ge/v/3600922

კეთდებოდა ასევე განცხადებები უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობოების შეზღუდვის მოთხოვნით.

- **ვაჟა ოთარაშვილი, პატრიოტთა ალიანსი:** „აი, ამ ორგანიზაციებს, რომლებიც ანტიქართული ქმედებებისათვის, ქართული სახელმწიფოს ცნობიერების დანგრევისათვის ფინანსდებიან უცხოეთიდან, უნდა გადაეჭრათ ეს არტერიები[78].“

2.3. საზოგადოებრივი ორგანიზაციები

მედია მონიტორინგის საფუძველზე გამოვლინდა 24 საზოგადოებრივი ორგანიზაცია და მოძრაობა, რომელიც ანტიდასავლურ გზავნილებს ავრცელებდა, მათგან გამოვყავით ყველაზე აქტიური 10. ეს ორგანიზაციებია: სახალხო კრება (31), უფლებადამცველთა გაერთიანება (29), ევრაზიული ინსტიტუტი (22), ულტრანაციონალისტური გაერთიანება „ქართული მარში“ (21), ევგენი პრიმაკოვის სახელობის ცენტრი (15), დემოგრაფიული საზოგადოება XXI (14), სტალინელი (13), მართვის სტრატეგიული ცენტრი (12), გლობალური კვლევების ცენტრი (9) და ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება (7). სახალხო კრება პრორუსულ პარტია გაერთიანებულ დემოკრატიულ მოძრაობასთან დაკავშირებული ორგანიზაციაა. პირდაპირი კავშირები რუსეთთან ასევე პრიმაკოვის ცენტრის, „ევრაზიული ინსტიტუტის“ და „გლობალური კვლევების ცენტრის“ შემთხვევაშიც იკვეთება.

#	საზოგადოებრივი ორგანიზაციები	ანტიდასავლური გზავნილები
1	სახალხო კრება	31
2	უფლებადამცველთა გაერთიანება	29
3	ევრაზიული ინსტიტუტი	22
4	ქართული მარში	21
5	პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოების ცენტრი	15
6	დემოგრაფიული საზოგადოება XXI	14
7	სტალინელი	13
8	მართვის სტრატეგიული ინსტიტუტი	12
9	გლობალური კვლევების ცენტრი	9
10	ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება	7

აღნიშნული ორგანიზაციები ძირითადად ვიზალიბერალიზაციის, მიგრანტების, იდენტობის დაკარგვისა და ჯორჯ სოროსის, როგორც ეროვნულ იდენტობასთან მებრძოლის, საფრთხეებზე ამახვილებდნენ ყურადღებას.

78 ობიექტივი, ღამის სტუდია, 5 აგვისტო. https://www.myvideo.ge/v/3647790

ვიზალიბერალიზაცია = დემოგრაფიულ პრობლემებს

დიმიტრი ლორთქიფანიძე, პრიმაკოვის სახელობის ცენტრი: „ქვეყანა რომ თავზე გემხობა და განსაკუთრებით ამ ვიზალიბერალიზაციის შემდეგ ხალხი გაქცევაზეა, რომელ სიკეთეზე ვსაუბრობთ?!.. ამ დროს უცხოეთში გადახვეწილ ჩვენს თანამემამულეებს პარალელურ რეჟიმში ანაცვლებენ აზიელი მიგრანტები, რომელთათვისაც საკანონმდებლო დონეზე სრულიად ნოყიერი ნიადაგია შექმნილი“[79].

ევროინტეგრაცია/ვიზალიბერალიზაცია უსარგებლოა

გულბაათ რცხილაძე, ევრაზიული ინსტიტუტი: „მდიდარი ევროპული ქვეყნები, როგორც, მაგალითად, გერმანიაა, კატეგორიულად ამბობენ უარს თუნდაც შეზღუდული რაოდენობის ქართველი მოქალაქეების დასაქმებაზე... კანცლერმა, რომელმაც გერმანიას ეთნოციდი მოუწყო და ერთბაშად მილიონ არაბს გაუხსნა გერმანიის კარი, რომლებსაც გერმანული სახელმწიფო მსუყე სოციალურ დახმარებას უხდის, ქართველებისთვის კი მეეზოვის „თანამდებობა“ ენანება“[80].

დასავლეთი ებრძვის მართლმადიდებლობას

დიმიტრი ლორთქიფანიძე, პრიმაკოვის ცენტრი: „ახლა მიმდინარეობს გადამწყვეტი იდეოლოგიური ბრძოლა იმისათვის, რომ საქართველოში საბოლოოდ დამყარდეს ლიბერალიზმისა და ანტიმართლმადიდებლური ძალების ტირანია[81].“

დასავლეთი თავს გვახვევს ჰომოსექსუალობას

გურამ ფალავანდიშვილი, ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება: „ეს გაკვეთილები [ტოლერანტობის] არის მოგონილი ფაშისტების მიერ... საქართველოში უნდათ ტოლერანტობა გადააქციონ უზნეობის მიმართ, ნარკომანიის, მოწევა რომ კარგია... ტოლერანტობის გაკვეთილები როდესაც ტარდება მაგალითად, გერმანიაში, ბავშვს აიძულებენ განასახიეროს სექსუალური უმცირესობა, ჩაიცვას ვარდისფერი კოლგოტკები[82].“

სოროსი ერძვის ქართულ იდენტობას

სანდრო ბრეგაძე, ქართული მარში: „ხორციელდება ის პოლიტიკა, რომელიც დანერგა თავის დროზე ჯორჯ სოროსმა, კიდევ დანარჩენებმა... რომელთა მთავარი მისიაც არის, რომ საქართველომ იარსებოს უქართველებოდ, თუ იარსებებენ ქართველები, ისინი უნდა იყვნენ ან ნარკომანები, ან პროსტიტუციაში ჩაბმულები, ან საერთოდ გათიშული ამ სამყაროდან და ამ ქვეყანას უნდა დაეპატრონონ აბსოლუტურად სხვა ხალხი[83].“

79 საქართველო და მსოფლიო, 4 ოქტომბერი. https://bit.ly/2DUfenq
80 საქართველო და მსოფლიო, 17 ოქტომბერი. https://bit.ly/2pWw8ln
81 ასავალ-დასავალი, 2-8 აპრილი
82 კავკასია, ბარიერი, 10 აპრილი. https://www.myvideo.ge/?video_id=3569351
83 ობიექტივი, ღამის სტუდია, 22 იანვარი. http://www.myvideo.ge/v/3504890

2.4. სასულიერო პირები

18 სასულიერო პირიდან გამოიკვეთა 5, რომელიც ანტიდასავლური კომენტარებით ყველაზე მეტად გამოირჩეოდა. ესენი არიან: ავჭალის ქეთევან წამებულის სახელობის ტაძრის წინამძღვარი გიორგი რაზმაძე (24), მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის წევრი დავით ისაკაძე (12), 1996 წელს ეკლესიიდან განკვეთილი ბასილ მკალავიშვილი (9), გიორგი პავლოვი (7), **სხალთის ეპარქიის** ეპისკოპოსი სპირიდონ აბულაძე (9).

#	სასულიერო პირები	ანტიდასავლური გზავნილები
1	გიორგი რაზმაძე	24
2	დავით ისაკაძე	12
3	ბასილ მკალავიშვილი	9
4	გიორგი პავლოვი	7
5	სპირიდონ აბულაძე	6

სასულიერო პირების შემთხვევაშიც მთავარი გზავნილები იდენტობის დაკარგვის საფრთხეს, ასევე მართლმადიდებელ სამყაროში განხეთქილების შეტანაში ამერიკის სპეცსამსახურების დადანაშაულებას უკავშირდებოდა. ეს უკანასკნელი გზავნილი უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის დამოუკიდებლობასთან მიმართებით იჩენდა თავს.

უკრაინის ავტოკეფალია ამერიკის სპეცსამსახურების პროექტია

- **გიორგი რაზმაძე, სასულიერო პირი:** „რეალურად მათ აწუხებთ არა ის, რომ უკრაინა 40-მილიონიანი დამოუკიდებელი ქვეყანაა და ამიტომ ეკლესიაც უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი, არამედ ეს მცდელობები მართლმადიდებლურ სამყაროში განხეთქილების შეტანას ემსახურება... მსოფლიოს საპატრიარქო ეკუმენიზმის მორევში ჩაიძირა. დღეს იქ დარჩა მხოლოდ რამდენიმე ეპისკოპოსი, რომლებიც საღად და სწორად აზროვნებენ, დანარჩენს ამერიკის სპეცსამსახურები მართავენ[84].“

- **გიორგი პავლოვი, დეკანოზი:** „ყველაზე დიდი ცოდვა ეკლესიის განხეთქილებაა. ჯერ დაამტერეს სატანამ და მისმა მიმდევრებმა მოძმე ერები: ქართველი და რუსი ერი... ეხლა ღვიძლი ძმები დაამტერეს, სლავებიც დაამტერეს ერთმანეთთან[85]“.

სოროსი თავს გვახვევს მიულებელ ღირებულებებს

- **ბასილ მკალავიშვილი, სასულიერო პირი:** „ის ფაქტი, რომ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში ლგბტ აქტივისტი ვინმე გიორგი გაბუნია ბედავს და „რუსთავი-2“-ის ეთერში მაცხოვარს შეურაცხყოფს, მხოლოდ და მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ საქართველოში სოროსის იდეოლოგიამ სამუდამოდ თუ არა, დროებით მაინც გაიმარჯვა![86]“

84 საქართველო და მსოფლიო, 28 ივნისი. https://bit.ly/2KzOprO
85 ობიექტივი, ღამის სტუდია, 24 სექტემბერი. http://www.myvideo.ge/v/3677099
86 ასავალ-დასავალი, 2-8 აპრილი

2.5. საზოგადოების წარმომადგენლები

საზოგადოების წარმომადგენელთა ანტიდასავლური კომენტარებიდან (438) გამოვყავით 10 რესპონდენტი, რომელიც მედიაში ყველაზე ხშირად ფიგურირებდა. ამ მხრივ ლიდერობდა ტვ „ობიექტივის“ მაყურებელი (48), რომელიც ანტიდასავლურ შეფასებებს ძირითადად თოქ-შოუში სატელეფონო ჩართვის დროს აკეთებდა, ასევე ტვ „ობიექტივის“ ხშირი რესპონდენტები, პოლიტოლოგი თამარ კიკნაძე (28), რომელიც პრიმაკოვის ცენტრის ღონისძიებაში და ქართულ-რუსულ ფორუმებში აქტიურად მონაწილეობს და ჰამლეტ ჭიპაშვილი (28), რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი მეთაურის ასლან აბაშიძის პარტია „აღორძინების კავშირის“ წევრი იყო. პოეტ რეზო ამაშუკელის (18) გარდა, რომელიც სხვადასხვა ჯგუფების მიმართ სიძულვილის ენით გამოირჩევა, 2018 წელს ათეულში თადარიგის გენერალი გურამ ნიკოლაიშვილი (17) და Veterans Today-ს ჟურნალისტი ჯეფრი სილვერმანიც (11) მოხვდნენ. ამ უკანასკნელს რუსული სახელისუფლებო მედია ლუგარის ლაბორატორიის წინააღმდეგ წყაროდ ხშირად იყენებს.

#	საზოგადოების წარმომადგენლები	ანტიდასავლური გზავნილები
1	ტვ „ობიექტივის“ მაყურებელი	48
2	თამარ კიკნაძე, პოლიტოლოგი	28
3	ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი	28
4	რეზო ამაშუკელი, მწერალი	18
5	გურამ ნიკოლაიშვილი, გენერალ-ლეიტენანტი	17
6	სოსო ცინცაძე, ექსპერტი	15
7	ჯეფრი სილვერმანი, ამერიკელი ჟურნალისტი	11
8	ლაზარე ზაქარიაძე, პუბლიცისტი	10
9	გივი გურეშიძე, პოლიტოლოგი	8
10	იური მეჩითოვი, ფოტოგრაფი	7

ნატო ვერ დაგვიცავს

- **გურამ ნიკოლაიშვილი, გენერალ-ლეიტენანტი:** „სანამ ხელისუფლების მთავარი ორიენტირი დასავლეთის გულის მოგება იქნება და გაგრძელდება თავის მოტყუების სამარცხვინო პოლიტიკა, რომ თურმე ნატო ჩვენი უსაფრთხოების ერთადერთი გარანტია, საქართველოსა და ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესები ყოველთვის უკანა პლანზე გადაიწევს. ეს კი ნიშნავს, რომ თურქეთისა და სხვა მეზობელი სახელმწიფოების ექსპანსიური პოლიტიკა ხვალ-ზეგ შეიძლება კიდევ უფრო გაძლიერდეს[87]“.

ამერიკა ახალისებს ბიოდივერსიას

- **ჯეფრი სილვერმანი, ვეტერანს თუდეი:** „ექსპერიმენტულ ვაქცინებს ქართველებზე ცდიან... ლუგარის ლაბორატორია ძირითადია, მაგრამ ცდები მხოლოდ ამ ლაბორატორიაში არ მიმდინარეობს[88]“.
- **ჯეფრი სილვერმანი, ვეტერანს თუდეი:** „ამერიკელებმა ფილიპინებში ჩაატარეს ექსპერიმენტი, როცა მოსახლეობა გაზით მოწამლეს[89].“

87 საქართველო და მსოფლიო, 6 სექტემბერი. https://bit.ly/2CnEh1k

88 ობიექტივი, ახალი ამბები, 27 სექტემბერი. https://www.myvideo.ge/v/3680818

89 ასავალ-დასავალი, 22-28 იანვარი

3. პროპაგანდის სტრატეგია და მეთოდები

3.1. კრემლის სტრატეგია და ნარატივების სტრუქტურა

კრემლის ინფორმაციული გავლენის აქტივობები[90] დასავლეთის წინააღმდეგ საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებისთვის როგორც ნეგატიურ ანუ დესტრუქციულ, ასევე ირიბ-დესტრუქციულ სტრატეგიებს იყენებს. ირიბი-დესტრუქციული სტრატეგიის მიზანი არსებითი საკითხებიდან ფოკუსის გადატანა და რეალური პრობლემების უგულებელყოფაა. ამასთანავე დასავლეთის დემონიზების ფონზე, პოზიტიური ანუ კონსტრუქციული სტრატეგია რუსეთის, როგორც დასავლეთის ალტერნატივის წარმოჩენას ახდენს, რაც ბოლო წლებში უფრო მკაფიო ხდება და ეტაპობრივად პროგრესირებს. მზარდი ტენდენციის სახე აქვს ნეგატიურ დესტრუქციულ სტრატეგიას ყველა სხვა სუბიექტის მიმართ, თუ არ ჩავთვლით ევროკავშირს, რომლის წინააღმდეგ 2018 წელს 2017-თან შედარებით ნეგატიური გზავნილების კლების ტენდენცია იკვეთება, რაც საქართველოს მიერ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერითა და ვიზალიბერალიზაციის შედეგად გამოწვეული ხელშესახები პოზიტიური შედეგითაც შეიძლება იყოს განპირობებული.

ДИАГРАМА 15. ИНФОРМАЦИОННОЕ ВЛИЯНИЕ СТРАТЕГИЯ



90 ინფორმაციული გავლენის აქტივობები, რომლებიც კოგნიტიური გავლენის ქმედებების სახელითაცაა ცნობილი, უცხოური ძალების მიერ სამიზნე ჯგუფების აღქმებზე, ქცევასა და გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მოსახდენად და მათთვის სასურველი შედეგის მისაღებად გამოიყენება. ინფორმაციული გავლენის აქტივობები, შესაძლოა, ერთჯერადი ხასიათის ან უფრო დიდი ინფორმაციული ზეგავლენის ოპერაციის შემადგენელი იყოს, რომელიც ბევრ სხვადასხვა ქმედებას აერთიანებს. Lund University (2018). Countering Information Influence Activities. https://www.msb.se/RibData/Filer/pdf/28697.pdf

საგარეო პოლიტიკის საკითხებზე პოლარიზების პარალელურად, ირიბი დესტრუქციული სტრატეგია რუსეთის საფრთხის ნიველირებას ახდენს და ახალი ნარატივის ფორმირებით ცდილობს დაამკვიდროს აზრი, რომ კონფლიქტი რუსეთ-საქართველოს შორის კი არა, არამედ ორ დიდ სუპერ-სახელმწიფოს შორის მიმდინარეობს, რასაც საქართველოს ინტერესები ეწირებოდა.

ირიბი დესტრუქციული სტრატეგია	→	ნეგატიური დესტრუქციული სტრატეგია	→	პოზიტიური კონსტრუქციული სტრატეგია
მიზანი: რეალური საფრთხეებიდან ფოკუსის გადატანა, პრობლემების უგულებელყოფა		**მიზანი:** საფრთხეების ხელოვნურად შექმნა ან გაზვიადება		**მიზანი:** სამიზნე ჯგუფების დარწმუნება, რომ შეთავაზებული საგარეო ორიენტირები არსებულზე უკეთესია
1. **რუსეთის პასუხისმგებლობის უარყოფა** 2. **საკუთარი პასუხისმგებლობის უარყოფა** 3. **სუვერენიტეტის უარყოფა** 4. **ავტოკეფალიის უარყოფა** 5. **დემოკრატიის უარყოფა**		1. **ომის საფრთხე** 2. **ტერიტორიების დაკარგვის საფრთხე** 3. **ბიოდივერსიის საფრთხე** 4. **ასიმილაციის ანუ იდენტობის დაკარგვის საფრთხე**		1. **რუსეთის უძლეველობა** 2. **საერთო რელიგია – მართლმადიდებლობა, როგორც გამაერთიანებელი** 3. **საერთო ისტორიული მეხსიერება**

I. ირიბი დესტრუქციული სტრატეგია → 1. რუსეთის პასუხისმგებლობის უარყოფა →

- დაპირისპირება რუსეთ-საქართველოს შორის კი არა, სუპერსახელმწიფოებს შორის მიმდინარეობს
- რუსეთ-ამერიკის / ნატოს / დასავლეთის დაპირისპირებას საქართველოს ინტერესები ეწირება
- ჩვენ ვახდენთ რუსეთის პროვოცირებას

ნინო ბურჯანაძე, გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა: „როდემდე უნდა შევწიროთ ჩვენი ქვეყნის ინტერესები ამერიკის შეერთებული შტატების და დასავლეთის ინტერესებს, როდემდე უნდა გავუკეთოთ პროვოცირება რუსეთს?"

სააგენტო PIA, სათაური: „კრემლს არ სურს, 2008 წლის აგრესია განმეორდეს"

გრიგორი კარასინი, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე: „ადექვატური რეაგირება გვექნება ამ მასშტაბურ [ნატოს] სწავლებაზე... ჩვენ კი არ გვსურს, რომ იგივე განმეორდეს [რაც 2008 წელს]".

2. საკუთარი პასუხისმგებლობის უარყოფა

დავით თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი: „რუსეთი და დასავლეთი ერთმანეთს ებრძვიან სირიაში თუ უკრაინაში, ჩვენ რა შუაში ვართ?"

ზაზა პაპუაშვილი, ქართული ოცნება: „მიხედონ, ძმაო, ამ რუსეთს, რა... მე რატო მევალება, რო მე უნდა შევუვარდე ამ მუხლუხოებში.. ეს არის, კაცო, ჩემი დანიშნულება?"

3. საუვერენიტეტის უარყოფა → ● ადრე თუ მოსკოვი გვმართავდა, ახლა ვაშინგტონი და ბრიუსელი გვმართავს

4. ავტოკეფალიის უარყოფა → ● ამერიკა საპატრიარქოს საქმეებში ერევა (**ობიექტივი:** „ამერიკის შეერთებული შტატებიდან უნდა დაინიშნოს პატრიარქი?!")
● უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობა ფიქციაა (**გიორგი რაზმაძე, სასულიერო პირი:** „ვინმეს სჯერა, რომ დღეს უკრაინის ეკლესია უფრო თავისუფალია, ვიდრე მანამდე იყო?!")

5. დემოკრატიის უარყოფა → ● დასავლური დემოკრატია შერჩევითია
● დასავლეთი ორმაგი სტანდარტებით მოქმედებს

II. ნეგატიური დესტრუქციული სტრატეგია →

1. ომის საფრთხე → ● ნატოში ინტეგრირება = ომის საფრთხეს
● რუსეთი არ დაუშვებს მის საზღვრებთან ბიოლოგიური იარაღის გამოცდას

2. ტერიტორიების დაკარგვის საფრთხე → ● ნატოში ინტეგრირება = ტერიტორიების დაკარგვის საფრთხეს

3. ბიოდივერსიის საფრთხე → ● ლუგარის ლაბორატორიაში ადამიანებზე ცდებს ატარებენ, ვირუსებს ავრცელებენ

4. ასიმილაციის ანუ იდენტობის დაკარგვის საფრთხე → ● მიგრანტების საფრთხე
● ეთნიკური, რელიგიური იდენტობის დაკარგვის საფრთხე
● გენდერული იდენტობის დაკარგვის საფრთხე
● ტრადიციების დაკარგვის საფრთხე

III. პოზიტიური კონსტრუქციული სტრატეგია →

1. რუსეთის უძლეველობა →
   - რეალურად ებრძვის ტერორიზმს
   - რუსული შეიარაღება სჯობს ამერიკულს (ამერიკული ჯაველინები უსარგებლოა)
2. საერთო რელიგია – მართლმადიდებლობა, როგორც გამაერთიანებელი →
   - დასავლეთი ებრძვის მართლმადიდებლობას, რუსეთი იცავს მას (**საქართველო და მსოფლიო:** „ერთადერთი გადაულახავი წინაღობა ამ ომში მართლმადიდებელი რუსეთია“)
3. საერთო ისტორიული მეხსიერება →
   - საბჭოთა / ავტორიტარული მმართველობა საფრთხეებისგან დაცულობას უზრუნველყოფდა
   - საბჭოთა სისტემა სოციალურ დაცულობას უზრუნველყოფდა.

3.2. პროპაგანდის მეთოდები და ტექნიკები

მედიის განვითარების ფონდმა პროექტ „მითების დეტექტორის“ ფარგლებში ერთწლიანი მედია მონიტორინგის შედეგად დეზინფორმაციის 177 შემთხვევა გამოავლინა. კვლევის პირველ ნაწილში განხილული მედია მონიტორინგის სუბიექტების გარდა, დეზინფორმაციის ნაწილში შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, სოციალურ ქსელებში გავრცელებული სხვა მედიების/ფეისბუკ გვერდების ყალბი ამბებიც მოხვდა. „მითების დეტექტორმა“ 2018 წელს შემდეგი ტიპის დეზინფორმაცია გამოავლინა:

დეზინფორმაციის ტიპოლოგია	რაოდენობა
ყალბი ინფორმაცია/მანიპულაცია	82
კონსპირაცია	24
ისტორიის გაყალბება	16
სტატისტიკის გაყალბება	16
ინტერვიუს გაყალბება	12
ვიდეომანიპულაცია	10
ფოტომანიპულაცია	10
ლიტერატურული ნაწარმოების / სატირულ-იუმორისტული პუბლიკაციის რეალურ ფაქტად წარმოჩენა	7

ყალბი ან მანიპულირებული ინფორმაციის დიდი წილი (24,3%) იდენტობის დაკარგვის საფრთხეს შეეხებოდა, 19,7% – მიგრანტებს, 10,5% – ევროინტეგრაციის საკითხებს. ყველაზე მცირე იყო ეკონომიკასთან (2,6%), განათლებასა (2%) და არასამთავრობო ორგანიზაციებთან (1,3%) დაკავშირებული ყალბი ცნობები.

დიაგრამა 16. დეზინფორმაციის თემატიკა



კონსპირაციები და სიმულაციური მტკიცებულებების ტექნიკა. ყველაზე მეტი კონსპირაცია თბილისში მოქმედი რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრის და საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის შესახებ ვრცელდებოდა, რომელიც ამერიკის მთავრობის დახმარებით ხორციელდება. კერძოდ, სხვადასხვა წყაროები შემდეგ კონსპირაციებს ავითარებდენენ:

- აზიური ფაროსანა ლაბორატორიულად არის გამოყვანილი;[91]
- ლაბორატორიაში ორი ფილიპინელი საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა[92];
- ლაბორატორიაში საშიში „ცივი ოთახები“ ფუნქციონირებს[93];
- სკრიპალების მოწამვლის საქმეში ლუგარის ლაბორატორიის კვალია[94];
- C ჰეპატიტის სამკურნალო პრეპარატ Solvadin-ს ამერიკელები ქართველებზე ცდიან[95].

ლუგარის ლაბორატორიასთან დაკავშირებული კონსპირაციების გავრცელებისას გამოიყენებოდა სიმულაციური მტკიცებულებების ტექნიკა.

სიმულაციური მტკიცებულების ტექნიკა: ისეთი ავთენტური დოკუმენტების / ფაქტების გამოყენება, რომლებიც მტკიცებულებების ილუზიას ქმნიან, მაგრამ რეალურად არარელევანტურია იმ ბრალდებებთან მიმართებით, რომელთა საილუსტრაციოდაც არის გამოყენებული

91 „მითების დეტექტორი, 5 აპრილი, 2018. „რუსული კონსპირაციები ლუგარის ლაბორატორიაზე: აზიური ფაროსანა, ზიკას ვირუსი და ღორის აფრიკული ჭირი“. https://bit.ly/2Kutm8L

92 მითების დეტექტორი, 1 თებერვალი, 2018. „დეზინფორმაცია ფილიპინელი მუშების შესახებ და ბულგარელი ჟურნალისტის რუსული კავშირები“. https://bit.ly/2K2KOSk

93 მითების დეტექტორი, 7 დეკემბერი, 20018. ონიშენკო ქართველებს ლუგარის „ცივი ოთახით“ აშინებს, რომელიც რუსეთის ლაბორატორიებშიც დანერგილია“. https://bit.ly/2Wdhw53

94 მითების დეტექტორი, 20 აპრილი, 2018. „საქინფორმი და ზახაროვა სკრიპალის მოწამვლის საქმეში „ქართული კვალს“ ეძებენ“. https://bit.ly/2wBBV9D

95 მითების დეტექტორი, 22 ოქტომბერი, 2018. „პუტინი ქართველებისთვის საშიშს უწოდებს პრეპარატს, რომელსაც რუსეთში 2016 წლიდან „სასიცოცხლოდ“ თვლიან“. https://bit.ly/2wEZe2h

სიმულაციური მტკიცებულებები მოსკოვში მყოფმა საქართველოს უშიშროების ყოფილმა უფროსმა იგორ გიორგაძემ[96] და ბულგარელმა ჟურნალისტმა დალიანა გაიტანჯიევამ[97] გამოიყენეს, რაც ქმნიდა ილუზიას და განცდას, თითქოს მათ საგანგაშო დოკუმენტები მოიპოვეს. ბულგარელი ჟურნალისტის შემთხვევაში იკვეთება საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროდან კონფიდენციალური და სამსახურებრივი დოკუმენტების გაჟონვის პრობლემა. კერძოდ, გაიტანჯიევამ ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოსა და მის თანამშრომლებს შორის სამსახურებრივი შეხვედრების შესახებ ელექტრონული მეილებით მიმოწერა, ასევე ამერიკის საელჩოსა და სამინისტროს შორის გადასახადებისგან გათავისუფლების შესახებ გაგზავნილი წერილები მოიპოვა და გამოაქვეყნა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღნიშნულის გამო კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის, პირადი მიმოწერის უკანონო მოპოვებისა და გავრცელების ფაქტზე გამოძიება დაიწყო, თუმცა გამოძიების შედეგები ამ დრომდე უცნობია.

ისტორიის გაყალბება. ისტორიის ფაბრიკაციისას შემდეგი ტენდენციები იკვეთებოდა:

- **ავტორიტარული რეჟიმების/დიქტატორების გაიდეალება:** სტალინმა პირველი რესპუბლიკის მთავრობის მიერ გატაცებული ეროვნული საგანძური სამშობლოში დააბრუნა[98]; სტალინმა სამხრეთ ოსეთის ტერიტორია საქართველოს მიუერთა[99].
- **ავტორიტარული რეჟიმების მიერ ჩადენილი დანაშაულებების გამართლება/უარყოფა:** სტალინის, ლავრენტი ბერიას, მუამარ კადაფის, ფრანსისკო ფრანკოს ძალადობრივი მეთოდების განდიდება[100];

96 მითების დეტექტორი, 20 სექტემბერი, 2018. „გიორგაძის მტკიცება, თითქოს C ჰეპატიტის მკურნალობის პროგრამა ადამიანის გარდაცვალებას იწვევს, აბსურდულია“. https://bit.ly/2Wl4scf

97 მითების დეტექტორი, 27 სექტემბერი, 2018. „როგორ ცდილობს კრემლი სკრიპალების საქმეში რუსული კვალის ლუგარის ლაბორატორიით გადაფარვას“. https://bit.ly/2XrVZXK

98 მითების დეტექტორი, 7 ივნისი, 2018. „ობიექტივის მტკიცებით, ეროვნული საგანძური პირველი რესპუბლიკის მთავრობამ გაიტაცა, სტალინმა კი გადაარჩინა“. https://bit.ly/2WM9zlm

99 მითების დეტექტორი, 8 ივნისი, 2018. „ისტორიის გაყალბება: სამხრეთ ოსეთის ტერიტორია საქართველოს სტალინმა მიუერთა“. https://bit.ly/2WrcdE3

100 მითების დეტექტორი, 25 აპრილი, 2018. „საქართველო და მსოფლიო“ დიქტატორებს აიდეალებს“, https://bit.ly/2EXiTPA

საბჭოთა ჯარების მიერ 9 აპრილს მშვიდობიანი მომიტინგეების დარბევაში ამერიკის დადანაშაულება[101].

- **საბჭოთა კავშირის მიმართ ნოსტალგიის გაღვივება:** საბჭოთა კავშირი მეცნიერების და ხელოვნების განვითარებისთვის ოაზისი იყო[102].

სტატისტიკის გაყალბება. სტასტიკის გაყალბების შემთხვევებიდან უმეტესობა შემდეგ თემებს შეეხებოდა:

- **მიგრანტები:** თბილისში ბინების 70%-ს ირანელები ყიდულობენ[103],
- **ევროინტეგრაცია:** უვიზო მიმოსვლით სარგებლობამ საქართველოს დემოგრაფიული პრობლემები შეუქმნა.[104]
- **ეკონომიკა:** ექსპორტის 67% რუსეთზე მოდის[105].

ინტერვიუს გაყალბება და დროებითი მიზნით შექმნილი წყაროები. ინტერვიუს გაყალბების შემთხვევები, მეტწილად უსაფრთხოების და თავდაცვის საკითხებს უკავშირდებოდა:

- მტკიცება, თითქოს ბრიტანეთის საგარეო დაზვერვის ყოფილმა თავმჯდომარემ სირიაში ბაშარ ალ-ასადის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენება ეჭვქვეშ დააყენა[106].
- ინფორმაცია, თითქოს აშშ-ის უსაფრთხოების მრჩეველი ჯონ ბოლტონი საქართველოს თავდაცვითი შეიარაღების რუსეთისთვის გადაცემის გამო საქართველოს პარტნიორობის შეწყვეტით დაემუქრა[107].

აღსანიშნავია, რომ ჯონ ბოლტონთან დაკავშირებით გავრცელებული დეზინფორმაცია საქართველოში მის ვიზიტს უკავშირდებოდა და 9 დღით ადრე შექმნილ ReportBlogs.com-ზე გამოქვეყნდა, რომელიც ამჟამად ხელმისაწვდომი არ არის, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დეზინფორმაციის გავრცელებისთვის დროებითი მიზნით შექმნილი წყაროები გამოიყენება.

101 მითების დეტექტორი, 30 ნოემბერი, 2018. „ობიექტივი“ 9 აპრილის ტრაგედიას ამჯერად აშშ-ს აბრალებს“. https://bit.ly/2HXcAgQ

102 მითების დეტექტორი, 5 ივნისი, 2018. „საბჭოთა „მონობაში“ აკრძალული ლიტერატურა და ფილმები“. https://bit.ly/2Hkkm0A

103 მითების დეტექტორი, 24 ივლისი, 2018. „მტკიცება, თითქოს თბილისში ბინების 70%-ს ირანელები ყიდულობენ, საფუძველს მოკლებულია“. https://bit.ly/2v0dCko

104 მითების დეტექტორი, 28 თებერვალი, 2018. „ირმა ინაშვილის 2 ტყუილი ვიზალიბერალიზაციასა და ქართველი მეწარმეების შესახებ“. https://bit.ly/2QU3WCE

105 მითების დეტექტორი, 7 თებერვალი, 2018. „დიმიტრი ლორთქფინაძის დეზინფორმაცია, თითქოს ექსპორტის 67% რუსეთზე მოდის“. https://bit.ly/2JZttJP

106 მითების დეტექტორი, 2 მაისი, 2018. „ნინო ბურჯანაძე ბრიტანეთის დაზვერვის ყოფილი უფროსის ინტერვიუს აყალბებს“. https://bit.ly/2HZmn68

107 მითების დეტექტორი, 1 ნოემბერი, 2018. „9 დღის ბლოგის დეზინფორმაცია: ბოლტონი საქართველოს პარტნიორობის შეწყვეტით დაემუქრა“. https://bit.ly/2WNS0Yr

სატირულ-იუმორისტული პუბლიკაციის / ლიტერატურული ნაწარმოების / რეალურ ფაქტად წარმოჩენა. 2017 წლის მსგავსად, კვლავ აპრობირებული პრაქტიკა იყო სატირულ-იუმორისტული გამოცემების მიერ გავრცელებული გამოგონილი ამბების, ასევე ლიტერატურული ნაწარმოების ფრაგმენტების რეალურ ფაქტებად წარმოჩენის ტენდენცია. ასეთ შემთხვევებში ქართულენოვანი მედია საშუალებები ან პირველწყაროს არ უთითებდნენ, ან მკაფიოდ არ აღნიშნავდნენ, თუ რა სახის შინაარსს ავრცელებდნენ, რითაც განზრახ შეცდომაში შეჰყავდათ აუდიტორია.

სატირულ-იუმორისტული პირველწყარო	გამოგონილი ამბავი	გაშუქდა, როგორც რეალური
Huzlers	აშშ-ში დააკავეს ზოოფილი, რომელიც ნიანგებს აუპატიურებდა[108]	pia.ge, break.ge, dainteresdit.ge, siaxle.ru
panorama.pub	ნიდერლანდებში ჰომოფობ მშობლებს ბავშვებს ართმევენ[109]	Geworld.ge, nk.org.ua, conf.7ya.ru, 123ru.net, vesti.bb.lv.
TV11-ის რუბრიკა „საპირველაპრილო ვიდეო“	სვანეთი ამერიკის მთავარი სამიზნეა[110]	ფეისბუქ გვერდი წინააღმდეგობა / Resistance

ლიტერატურული ნაწარმოები	გამოგონილი ფაბულა	გაშუქდა, როგორც რეალური
 **ჯეიმს კლაველის „ვირთხების მეფე“**	გლობალურმა ძალებმა სპეციალურად ყოფილი საბჭოთა კავშირის მართლმადიდებელი ხალხებისათვის შეიმუშავეს ტექნოლოგია, სახელწოდებით „ვირთხების მეფე“, რომლის არსიც ადამიანში ზნეობისა და მორალის განადგურებაა[111].	Geworld.ge, ნიკოლაი სტარიკოვის ბლოგი

108 მითების დეტექტორი, 25 ივლისი, 2018. „ალიგატორის გაუპატიურების ამბავი“. https://bit.ly/2WicKmP

109 მითების დეტექტორი, 26 ნოემბერი, 2018. „Geworld-ის დეზინფორმაცია, თითქოს ნიდერლანდებში ჰომოფობ მშობლებს ბავშვებს ართმევენ“. https://bit.ly/2KBjGJH.

110 მითების დეტექტორი, 14 აგვისტო, 2018. „TV11-ის იუმორისტული ვიდეო სვანეთზე ნაციონალისტურმა ფეისბუქ გვერდმა რეალობად გაასაღა“. https://bit.ly/2wHQ5pq

111 მითების დეტექტორი, 31 მაისი, 2018. „Geworld-ის რუსული კონსპირაცია „ვირთხების მეფის“ შესახებ მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტია“. https://bit.ly/2HhAe3Z

ლიტერატურული ნაწარმოები	გამოგონილი ფაბულა	გაშუქდა, როგორც რეალური
 ანატოლი ივანოვის „მარადიული ძახილი“	ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს(CIA) უფროსმა ალენ დალესმა შეიმუშავა გეგმა, რომელიც მორალური დეგრადირების გზით, საბჭოთა კავშირის დაშლას ისახავდა მიზნად[112].	Geworld.ge, აკაკი გასვიანი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი

ვიზუალური (ფოტო/ვიდეო) მანიპულაცია. ვიდეომანიპულაციების უმეტესობა მიგრანტებს შეეხებოდა და ძირითადად ულტრანაციონალისტური ფეისბუკ გვერდების მეშვეობით ვრცელდებოდა. მანიპულაცია კი შემდეგი სახის იყო:

ავთენტური ვიდეოს შეუსაბამობა აღწერილობასთან	FB „ქართული ძალა“	„ქართული ძალის“ მტკიცებით, ვიდეო საფრანგეთში, კათოლიკურ ეკლესიაზე მესის დროს მუსლიმი მიგრანტების თავდასხმას ასახავს. რეალურად ვიდეო 2018 წლის 18 მარტს წმინდა დენისის ბაზილიკასთან ჩატარებულ საპროტესტო აქციას შეეხება, რომელზეც თავშესაფრის მიღების პროცედურებზე საფრანგეთის მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტი გააპროტესტეს[113].
		ვიდეო, რომელიც „ქართული ძალის“ მტკიცებით“, ავღანელი მიგრანტის მიერ მეტროში გერმანელი ქალის დაგორების სასტიკ სცენას ასახავს, რეალურად, ბერლინის მეტროში 2016 წელს მომხდარი ინციდენტია, რომელშიც ბულგარეთის მოქალაქე, წარსულში ნასამართლევი, სვეტოსლავ სტოიკოვი მონაწილეობდა[114].

112 მითების დეტექტორი, 29 მაისი, 2018. „კომუნისტური პარტიის და Вечный зов-ის ციტატებს Geworld.ge „დალესის გეგმად“ ასაღებს“. https://bit.ly/2HZwtUz 20 დეკემბერი, 2018. „აფხაზეთის ხელისუფლების მოქმედი და ეროვნული გვარდიის ყოფილი წარმომადგენლები დალესის კონსპირაციის ტყვეობაში“. https://bit.ly/2WRdKma

113 მითების დეტექტორი, 27 მარტი, 2018. „ქართული ძალის დეზინფორმაცია, თითქოს მიგრანტებმა საფრანგეთში კათოლიკური ეკლესია დაარბიეს“. https://bit.ly/2I14oMj

114 მითების დეტექტორი, 1 მარტი, 2018. „ქართული ძალა“-ს ვიდეომანიპულაცია, თითქოს ავღანელი მიგრანტი გერმანელ ქალს კიბეებიდან აგორებს“. https://bit.ly/2pPS9rQ

	FB Politicano	Russia Today-ს ვიდეო, Politicano-ს კომენტარით, "ახლა დროა, მიგრანტებმა ევროპის ქვეყნები ააწიოკონ", რეალურად პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტებას ეხება. ვიდეო 2017 წლის 3 დეკემბერს პარიზის რკინიგზის სადგურშია გადაღებული, სადაც აქციის მონაწილეები, პოლიციის მხრიდან, კამერუნიელი ესპანელის მიმართ ძალის გადამეტებას აპროტესტებდნენ[115].
	FB ანტილიბერალური კლუბი	ვიდეო, სახელწოდებით „აფრიკელი მიგრანტები მადრიდის ქუჩას არბევენ", რეალურად 2018 წლის მარტში ლავაპიესში მიმდინარე საპროტესტო აქციებს ასახავს, რომელშიც რადიკალური მემარცხენე და ანტი-ისტაბლიშმენტური ჯგუფები მონაწილეობდნენ. ქუჩაში ქონების დაზიანების გამო პოლიციამ არა მიგრანტები, არამედ ესპანეთის 6 მოქალაქე დააკავა.
	FB „იბერიული ერთობა"	ვიდეო, რომელიც სინამდვილეში 2017 წლის 1 ოქტომბერს მუსლიმების მიერ ტერორისტული ორგანიზაცია ე.წ „ისლამური სახელმწიფოს" წინააღმდეგ ლონდონში ჩატარებულ მარშს ასახავს, „იბერიული ერთობის" მიერ მუსლიმების მიერ ევროპის უიარაღო ოკუპაციად იყო წარმოდგენილი[116].
ყალბი კონტექსტი	საპრეზიდენტო არჩევნების კანდიდატის პარტია „თავისუფალი საქართველოს" ლიდერის კახა კუკავას საარჩევნო კლიპი	კლიპში გამოყენებული ვიდეოკადრები, სლოგანით „საქართველო იმიგრანტების გარეშე", მეტროს ვაგონში ატეხილ ხმაურსა და ხალხმრავლობას ასახავს და მანიპულაციურია, რადგან შეუძლებელია იდენტიფიცირება, თუ რა ეროვნების ადამიანებია ვიდეოზე გამოსახული და სად არის გადაღებული აღნიშნული კადრები[117].

ფოტომანიპულაციებს ულტრანაციონალისტური გვერდების გარდა, გამოცემა „საქართველო და მსოფლიოშიც" ვხვდებით, სადაც მიგრანტების თემასთან ერთად საგარეო პოლიტიკის საკითხებიც ფიგურირებს.

115 მითების დეტექტორი, 8 იანვარი, 2018. „პოლიტიკანოს" ვიდეომანიპულაცია მიგრანტების შესახებ რეალურად პარიზის საპროტესტო აქციას ასახავს". https://bit.ly/2HZqrDk

116 მითების დეტექტორი, 6 ივნისი, 2018. „იბერიული ერთობის მანიპულაცია მუსლიმთა მშვიდობიანი დემონსტრაციის შესახებ". https://bit.ly/2WuJRZC

117 მითების დეტექტორი, 12 ოქტომბერი. „კუკავას წინასაარჩევნო ვიდეორგოლში მიგრანტების შესახებ მანიპულაციური ვიდეოა გამოყენებული". https://bit.ly/2wHVDAo

დამუშავებული ფოტო	Geworld.ge	ფოტო, სათაურით „მაპატიე, მუსტაფა!“ გამოცემის მტკიცებით, ევროპელი ქალების ფლეშმობს ასახავდა, რომლებიც მათზე მოძალადე მიგრანტებს მიტევებას სთხოვდნენ. აღნიშნული ფოტო დამუშავებულია, რადგან ორიგინალ ფოტოზე უკრაინელი ქალია ასახული, წარწერით „გცივა? იფიქრე მათზე, ვიც სანგრებში ზის“. კამპანიის მონაწილეები 2014 წლის საომარი მოქმედებების დროს უკრაინელი ჯარისკაცებისთვის თბილ ტანსაცმელს აგროვებდნენ[118].
ავთენტური ფოტო, რომელიც არ შეესაბამება მოვლენის აღწერილობას	Geworld.ge	გამოცემა ამტკიცებს, რომ 2018 წელს ნორვეგიაში ნატოს წვრთნის „ერთიანი სამკაპის“ წინააღმდეგ აქციები გაიმართა, რომლის საილუსტრაციოდ 2016 წლის პოლონეთის აქციის ფოტოს იყენებს, სადაც 2 ადამიანი ხელში ტრანსპარტით დგას[119].

ДЕЗИНФОРМАЦІЇС წყაროები და იდენტური რუსული წყაროები. მედიებიდან ყველაზე მეტი დეზინფორმაცია ონლაინ გამოცემა „საქართველო და მსოფლიომ“ (27) და ტვ „ობიექტივმა“ (16) გაავრცელეს; სოციალური მედიიდან – ფეისბუკ გვერდმა – „პოლიტიკანომ“ (9); პარტიებიდან – „პატრიოტთა ალიანსმა“ (16), სასულიერო პირებიდან – გიორგი რაზმაძემ (5).

ქართულენოვან მედიაში გავრცელებული ყალბი ინფორმაციის იდენტური მასალა ხშირად რუსულენოვან მედია საშუალებებშიც იბეჭდებოდა, რაც შესაძლოა, წყაროს არიდების ანუ დეფლექციურ მოდელზე მიუთითებდეს. ქვემოთ მოცემული დიაგრამა იმ რუსულენოვან მედიებს ასახავს, სადაც ქართული წყაროების იდენტური დეზინფორმაციები ვრცელდებოდა.

ДИАГРАМА 17. ДЕЗИНФОРМАЦІЇС ИДЕНТУРИ РУСУЛИ ВУЗАРОВИ



118 მითების დეტექტორი, 8 თებერვალი, 2018. „რუსული მედიის დადგმული აქცია, თითქოს ქალები მოძალადე მიგრანტებს ბოდიშს უხდიან“. https://bit.ly/2Zb5A5G

119 მითების დეტექტორი, 13 ნოემბერი, 2018. „Geworld.ge 2018 წლის ნორვეგიის მოვლენების საილუსტრაციოდ 2016 წლის პოლონეთის აქციის ამსახველ ფოტოს იყენებს“. https://bit.ly/2Zb60Ji

4. პროფილები

წინამდებარე თავში ანტიდასავლური გზავნილების მხრივ ყველაზე აქტიური წყაროების პროფილები შეირჩა.

4.1 მედია

ასავალ-დასავალი. ყოველკვირეული გაზეთი „ასავალ-დასავალი“ 1992 წელს დაარსდა. გამოცემის 100%-იანი წილის მფლობელი და რედაქტორი კერძო პირი ლაშა ნადარეიშვილია. გამოცემა ღიად ქსენოფობიურ და ანტდასავლურ სარედაქციო პოლიტიკას ატარებს. გაზეთი არ უთითებს თავის ტირაჟს, ფეისბუკში კი გვერდს 132 969 მიმდევარი ჰყავს. ფეისბუკ გვერდზე ყველაზე პოპულარული სტატუსები ნაციონალური მოძრაობის წინააღმედგ არის მიმართული.

მედია-კავშირი „ობიექტივი“. მედია-კავშირი „ობიექტივი“ 2010 წლის აგვისტოში დაფუძნდა. დამფუძნებელთა შორის პოლიტიკური გაერთიანება „პატრიოტთა ალიანსის“ ამჟამინდელი გენერალური მდივანი ირმა ინაშვილი იყო, რომელიც ტელეკომპანიის მმართველობაში 2014 წლიდან აღარ ფიგურირებს. „ობიექტივის“ მაუწყებლობა სატელევიზიო სიხშირის გარდა, რადიო სიხშირით და ინტერნეტით ხორციელდება. ტელეკომპანია თურქოფობიულ, ქსენოფობიურ და ჰომოფობიურ სარედაქციო პოლიტიკას ატარებს. ტრი-მედია ინტელიჯენსის მიხედვით, ტვ „ობიექტივი“ რეიტინგით 1,8%-ის ფარგლებშია, ფეისბუკში კი მას 49 951 გამომწერი ჰყავს.

„საქართველო და მსოფლიო“ (GEWORLD.GE). გაზეთ და ინტერნეტ-პორტალ „საქართველო და მსოფლიოს“ გამოსცემს შპს ისტორიული მემკვიდრეობა, რომლის დაფუძნებას 2009 წელს რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი საჯაროდ მიესალმა. „ისტორიული მემკვიდრეობის“ საზოგადოებრივი საბჭოს წევრი არის მოსკოვში მოღვაწე პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია, რომელიც 2014 წლის 13 თებერვალს რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა რუსეთის ფედერაციასთან მეგობრობისა და თანამშრომლობის სფეროში შეტანილი დიდი წვლილის გამო ორდენით დააჯილდოვა. ანტიდასავლური განწყობების გარდა, გამოცემა გამოირჩევა თურქოფობიით, რასისტული და ჰომოფობიური განცხადებებით. გამოცემა არ უთითებს ტირაჟს, ფეისბუკზე კი მას 22 840 მომწონებელი ჰყავს.

УКАЗ

ПРЕЗИДЕНТА РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ

О награждении государственными наградами Российской Федерации иностранных граждан

За большой вклад в укрепление дружбы и сотрудничества с Российской Федерацией, развитие научных и культурных связей наградить:

ОРДЕНОМ ПОЧЕТА

ЧАЧИЮ Александра Александровича - председателя народного движения "Самегрело" ("Мегрелия"), издателя журнала "Историческое наследие", газет "Илори" и "Грузия и мир", Грузия.

საქინფორმი. საინფორმაციო სააგენტო საქინფორმის 100%-იანი წილის მფლობელი 2013 წლიდან გამოცემის რედაქტორი არნო ხიდირბეგიშვილია. დამოუკიდებლობა.com-ის თანახმად, „საქინფორმის“ დომეინი პრორუსული ორიენტაციის ორგანიზაციის „ისტორიული მემკვიდრეობის“ ხელმძღვანელის, ტარას გაგნიძის სახელზეა რეგისტრირებული, რომელიც „საქართველო და მსოფლიოსაც“ ფლობს. „საქინფორმში“ ხშირად „საქართველო და მსოფლიოს“ იდენტური მასალები ქვეყნდება.

4.2. პოლიტიკური პარტიები

გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა. პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებას 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, აპრილში გაემიჯნა. პარტია „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“ 2008 წლის 19 მარტს დაფუძნდა. ბურჯანაძის ბლოკი 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებში კვალიფიციური სუბიექტი გახდა, თუმცა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში 5%-იანი ბარიერი ვერ გადალახა. ნინო ბურჯანაძე მეორე ქართველი პოლიტიკოსია, ყოფილი პრემიერის ზურაბ ნოღაიდელის შემდეგ, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, 2010 წელს ვლადიმერ პუტინს შეხვდა. 2016 წლის არჩევნებზე ის უბლოკო სტატუსის ინიციატივით გამოვიდა, რაც კონსტიტუციაში ჩანაწერის გაკეთებას ითვალისწინებდა.

საქართველოს პატრიოტთა ალიანსი. პატრიოტთა ალიანსი 2012 წლის 19 დეკემბერს დაფუძნდა. პარტია საკუთარ თავს მემარჯვენე-კონსერვატიულ მიმართულების იდეოლოგიას მიაკუთვნებს. ინგლისურენოვან ვებ-გვერდზე პარტიას დეკლარირებული აქვს ევროკავშირში ინტეგრაციის სურვილი და გამოთქმუ-

ლი აქვს სკეპტიციზმი საქართველოს ნატოში ინტეგრაციის რეალურ პერსპექტივასთან დაკავშირებით. პარტია ტვ „ობიექტივთან“ არის დაკავშირებული და აღნიშნული მედია საშუალების მსგავსად, თურქოფობიითა და ჰომოფობიით გამოირჩევა. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ პარტიის ლიდერები ხშირად სტუმრობენ მოსკოვს და ნატო-საქართველო-რუსეთის ახალი ფორმატის შექმნის ინიციატივით გამოდიან.

4.3. საზოგადოებრივი ორგანიზაციები

„ეროვნულ ძალთა შეთანხმებაში“ შემავალი ორგანიზაციები. საქართველოში ქართული ულტრა-ნაციონალისტური და ღიად პრო-რუსული ჯგუფები, როგორც წესი, საჯარო სივრცეში განსხვავებულად პოზიციონირებდნენ და მათი ერთიანობის ერთადერთი ინდიკატორი თანმხვედრი ნარატივები და ქმედებების იდენტურობა იყო. თუმცა, თბილისში 2018 წლის 13 მაისს ლიბერალური ჯგუფების მიერ ღამის კლუბებში ჩატარებული სპეცოპერაციის წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო აქციები ერთგვარი კატალიზატორი აღმოჩნდა ღიად პრო-რუსული და ულტრანაციონალისტური ჯგუფები ავანსცენაზე „ქართული მარშის“ ქოლგის ქვეშ წარმსდგარიყვნენ. მათ ე.წ. „ეროვნულ ძალთა შეთანხმება“ შექმნეს, რომლის მიზანიც „მამათმავლებისა და ნარკორეალიზატორების პარპაშის“ აღკვეთა იყო.

მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ორგანიზაციებიდან „ეროვნულ ძალთა შეთანხმებაში“ გაერთიანდნენ შემდეგი ორგანიზაციები:

უფლებადამცველთა გაერთიანება. „უფლებადამცველთა გაერთიანება“ საჯარო რეესტრში 2012 წლის 2 აგვისტოს დარეგისტრირდა. გაერთიანების ხელმძღვანელი ნიკოლოზ მჟავანაძეა, რომელიც ანტიდასავლური განცხადებების გარდა თურქოფობიით გამოირჩევა.

ქართული მარში. ულტრა-ნაციონალისტური ჯგუფის „ქართული მარშის“ გამოჩენა 2017 წლის ზაფხულში მიგრანტების საწინააღმდეგო აქციებს უკავშირდება. „ქართული მარშის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი „ქართული ოცნების“ ყოფილი მინისტრის მოადგილე სანდრო ბრეგაძეა.

პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოების ცენტრი. პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოების ცენტრი 2013 წელს რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებით დაფუძნებული გორჩაკოვის ფონდისა და ქართული საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის მიერ არის შექმნილი. ცენტრი რუსული ენის კურსებს და სხვადასხვა ღონისძიებებს აფინანსებს. 2018 წლის მარტიდან პრიმაკოვის ცენტრის დირექტორი პარტია „გაერთიანებული დემოკრატების“ ყოფილი წევრი, დიმიტრი ლორთქიფანიძეა.

დემოგრაფიული საზოგადოება XXI. ორგანიზაცია 2014 წელს დაფუძნდა. დამფუძნებელთა შორის არის ბიზნესმენი ლევან ვასაძე, რომელმაც კაპიტალი რუსეთში დააგროვა და ოჯახების მსოფლიო კონგრესთან (WCF) დაკავშირებული პირია, რომელიც ლგბტ თემის მიმართ სიძულვილს აღვივებს.

ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების დამფუძნებელი გურამ ფალავანდიშვილი 2013 წელს ხანუქას დღესასწაულის დროს ანტისემიტური ქმედებების გამო წვრილმანი ხულიგნობის ბრალდებით იყო დაკავებული. სხვადასხვა დროს ის არჩევნებში პრორუსული პარტია „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ მაჟორიტარი კანდიდატი იყო.

ევრაზიული ინსტიტუტი. ევრაზიული ინსტიტუტი 2009 წლის 22 სექტემბერს გულბაათ რცხილაძემ და გიორგი ვეკუამ დაარსეს. damoukidebloba. com-ის კვლევის მიხედვით, „ევრაზიული ინსტიტუტის" ერთ-ერთი პარტნიორი რუსული ორგანიზაცია „ლევ გუმილევის ცენტრია", რომელიც „ევრაზიული ცენტრის" მიერ მოსკოვში 2011 წელს დაფუძნდა. ცენტრი ეთნოკონფლიქტების გადაჭრის გზად „ევრაზიანიზმის" იდეის პოპულარიზაციას ასახელებს.

4.3. სასულიერო პირები

ხუთი სასულიერო პირიდან, რომელიც ყველაზე მეტად გამოირჩეოდა ანტიდასავლური კომენტარებით, ოთხი მოქმედი სასულიერო პირია, ხოლო ერთი – ბასილ მკალავიშვილი – საქართველოს საპატრიარქოს მიერ 1996 წელს განკვეთილია. ბასილ მკალავიშვილი ექსტრემისტული ქმედებების გამო, რაც იეჰოვას მოწმეებსა და ბაპტისტებზე თავდასხმებში და მათი ლიტერატურის განადგურებაში გამოიხატა, ხელისუფლებამ 2004 წელს დააპატიმრა, სასამართლომ კი მას 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

4.4. სხვადასხვა რესპონდენტები

ჯეფრი სილვერმანი, რომელიც ლუგარის ლაბორატორიის წინააღმდეგ რუსული სახელისუფლებო მედიების ერთ-ერთი მთავარი წყაროა, პორტალ Veterans Today-ს საქართველოს ბიუროს ხელმძღვანელია, გამოცემა კი რუსეთთან არის დაკავშირებული. 2013 წელს Veterans Today-მ თანამშრომლობა დაიწყო რუსულ გეოპოლიტიკურ ჟურნალთან „ახალი აღმოსავლური მიმოხილვა" (Новое восточное обозрение). ჟურნალს კი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი გამოსცემს. Veterans Today თავის სტატიებში ხშირად იმოწმებს წყაროდ „სტრატეგიული კულტურის ფონდს", რომელიც მოსკოვშია ბაზირებული და მას მოსკოვის კომუნისტური პარტიის ყოფილი მეთაური და საბჭოთა პოლიტბიუროს წევრი იური პროკოფიევი ხელმძღვანელობს. ამას გარდა, Veterans Today-ზე ხშირად ვხვდებით პორტალ South Front-ის მასალებსაც.

ჯილიანა გაიტანჯიევა ბულგარელი ჟურნალისტია, რომელმაც ლუგარის ლაბორატორიის შესახებ ე.წ. საგამოძიებო მასალა სათაურით „პენტაგონის ბიო ომები" 2018 წლის 16 იანვარს ინგლისურენოვან პორტალზე South Front გამოაქვეყნა. პორტალი რუსეთიდან იმართება და რუსულ დომეინზეა რეგიტრირებული, რომელიც ხშირად აქვეყნებს შეთქმულების თეორიებს სამხედრო თემატიკისა და დაზვერვის შესახებ. 2017 წლის აგვისტომდე გაიტანჯიევა მუშაობდა ბულგარული გაზეთისთვის Труд, სადაც 2017 წლის 4 ივლისს მან გამოაქვეყნა სტატია, თითქოს ბულგარეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ბულგარეთში აზერბაიჯანის საელჩოს სირიაში ტერორისტებისთვის იარაღის დიპლომატიური ფრენებით მიწოდების შესახებ მიმოწერა ჰქონდათ. გაიტანჯაევას ერთ-ერთი სტატია ლუგარის ლაბორატორიაზე Al-Mayadeen TV-ს სახელით არის გამოქვეყნებული, რომელიც ბაშარ ალ-ასადის და ტერორისტული ორგანიზაცია „ჰეზბოლას" მხარდამჭერი სარედაქციო პოლიტიკით გამოირჩევა.